# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 17 იანვარი. 2024 წ. №6 (9686) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# გამთლიანებისთვის ქვეყანა უნდა მოემზადოს

**ამ პროცესში ივანიშვილს ექნება ძალიან მნიშვნელოვანი და უნიკალური როლი!**

იხ. 3 გვ.





5

## მწერალა შანიძეს 98 წელი შეუსრულდა

## აკადემიკოსი გურამ ხარატიშვილი – 90



5

**მეცნიერების ორგანიზატორი, ქვეყნის პატრიოტი, ღირსეული პიროვნება**

ბიძინა დვალი:

## კაკაჩიას მდაბიური ქვენა გრძნობები



2

უსამშობლო არსება

ბენ ჰოჯესი:



## ვინც გააკონტროლებს ყირიმს, ის მოიგებს ომს

იხ. 8 გვ.

## ირანელი მინისტრის გაფრთხილება



## დამცავი ფარი




2 7

**აშშ-ის დახმარება ჯანდაცვაში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე**



## ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთის ელჩს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ჭოუ ციენს შეხვდა.**

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორი ქვეყნის მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობებს, რაც გასულ წელს სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე გაღრმავდა, ასევე თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებს. ელჩმა პრემიერ-მინისტრს მიაწოდა ინფორმაცია ტაივანში გამართული ე.წ. არჩევნების შესახებ, რაზეც პრემიერმა კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს მთავრობის მტკიცე მხარდაჭერა ერთიანი ჩინეთის პრინციპისადმი. მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ერთმანეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.

## პრემიერ-მინისტრი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს

**დაგეგმილია პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლა პანელურ დისკუსიებზე.**

ვიზიტის ფარგლებში მთავრობის მეთაური ორმხრივ შეხვედრებს გამართავს. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე არიან.

## სოციალური პაკეტი საგრძნობლად გაუმჯობესდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა 15 იანვარს გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 9 საკითხი განიხილეს.**

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ფართოვდება ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალო მედიკამენტების პროგრამა. კერძოდ, 15 იანვრიდან შესაბამისი კატეგორიის თუ სტატუსის მქონე მოქალაქეები გლაუკომის სამკურნალო მედიკამენტს მთელი წლის განმავლობაში სრული დაფინანსებით მიიღებენ.

ამასთან, შესაბამისი კატეგორიის ბენეფიციარებს მთელი წლის განმავლობაში სრულად დაუფინანსდებათ: გულსისხლძარღვთა, ფილტვის, ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული დაავადებების; დიაბეტის (ტიპი 2); პარკინსონისა და ეპილეფსიის სამკურნალო მედიკამენტები.

**საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შესული სიახლეები შეეხება: სოციალურად დაუცველ პირებს (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს), პენსიონერებს, ვეტერანებს, შშმ პირებსა (შშმ ბავშვები, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები) და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას.**

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა ასევე განიხილეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“. **ცვლილების თანახმად, მიმდინარე წლის იანვრიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სოციალური პაკეტი 50 ლარით, 340-დან 390 ლარამდე იზრდება. ყველა სხვა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ფინანსური დახმარება 20 ლარით იზრდება, მათ შორის მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირს სოციალური პაკეტი 175-დან 195 ლარამდე ეზრდება. ბიუჯეტი დაახლოებით 46 მლნ ლარს შეადგენს. გაზრდილი სოციალური პაკეტით 123 000-ამდე ბენეფიციარი ისარგებლებს.**

## დამცავი ფარი




### აშშ-ის დახმარება ჯანდაცვაში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე

**რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის ფონზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც განსაკუთრებით გააქტიურდა რუსული სადეზინფორმაციო პროპაგანდა, რომლის ერთ-ერთი საკვანძო მიზანი დასავლეთის დემონიზებაა. ათასგვარი ანტიდასავლური ნარატივებით ცდილობენ საზოგადოებრივ განწყობებზე ზემოქმედებას ქვეყნის სტრატეგიული ურთიერთობების კონტექსტში. სადეზინფორმაციო პროპაგანდასთან გამკლავების საუკეთესო გზა კი ადამიანთა სწორად ინფორმირებაა. ამდენად, გვსურს, კვლავაც ვისაუბროთ იმ მხარდაჭერასა და მის შედეგებზე, რომელსაც საქართველო დასავლეთის ქვეყნებისგან, უპირველესად კი სტრატეგიული პარტნიორი აშშ-ისგან ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და უმძიმესი კრიზისების წინაშე აღმოჩენის დროიდან იღებდა და იღებს დღესაც. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სამედიცინო მიმართულებაზე, რომელიც თითოეული მოქალაქისთვის აქტუალურია.**

**რა როლი აქვს აშშ-ს ქართული ჯანდაცვის მხარდაჭერაში? როგორ ხდება კონკრეტული მიმართულებების დიფერენცირება მხარდაჭერის გადაწყვეტილების მიღებისას? რატომ არის ლუგარის ლაბორატორია წლების განმავლობაში რუსული შეთქმულების თეორიების სამიზნე? რომელი პროექტი აღძრავს სიამაყის განცდას?** – ამ და სხვა კითხვებით **„აქცენტმა“ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმართა. პასუხები საელჩოს პრესასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა მოამზადა.**

იხ. 7 გვ.

## კაკაჩიას მდაბიური ქვენა გრძნობები



## უსამშობლო არსება

**ისედაც ურეიტინგო ნაც-ენჯეო აგენტურა გასული წლის მარტის შემდეგ საბოლოოდ გაკოტრდა. გამჭვირვალობის კანონის ინიცირებაც კი** საკმარისი აღმოჩნდა მათ გასაქროგად პოლიტიკური ველიდან. „უფროს ძმებს“ გვერი არ უფიქრიათ და მოშიშვლებული არეალი **მეგრანტე „ექსპერტების“ გაფართოებული რაზმებით შეავსეს.**

ეტყობა, **ხარისხიანი არჩევანი არც ამ ფლანგზეა.** ყალბი ანალიზების კეთებაც თავისებურ ნიჭს მოითხოვს – დემაგოგიის ნიჭს. ჩვენში ამ საქმით დაკავებულებიდან, **ერთს ვერ ნახავ, უკვე მეორე აბზაცში ღრმა ორმოში ან ტლაპოში რომ არ ამოყოს თავი.** ძალიან სამარცხვინოა ეს ყველაფერი.

პოლიტიკაში ბიძინა **ივანიშვილის მესამედ შესვლამ** საქართველოელ „ექსპერტთა“ ამქარში **ბეტონის კედელში შუბლით ლურსმნის ჩაჭედების** ახალი შეჯიბრის ორგანიზებას ჩაუყარა საფუძველი. სანდრო თვალჭრელიძეზე უკვე მოგახსენეთ, ვახტანგ ძაბირაძეზეც. ამ დღეებში, მათ გარდა, **„პენალის დარტყმის“ კიდევ რამდენიმე მსურველს** გამოუყვია თურმე ფეხი მეგრანტეს ჯავშნიდან.

ახალი ორიენტირი ოქტომბრის არჩევნები და მისი შედეგების არცნობისთვის მზადებაა. **ფაქტების აღქმებით გადაფარვის დამკვეთი აუდიტორია, ნაც-სექტა, კატასტროფულ კლებას განიცდის** და უნდა ვივარაუდოთ, რომ **მუშაობა ისევ „მოცულობის დაჭერაზე“ მიმდინარეობს.** გეგმა, კოდური სახელწოდებით, „იმედის ნაპერწკალი“, გაღვივებას ვერ ახერხებს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ **მრავალგზის განმეორებადი ტყუილი აღარ ჭრის.**

კიდევ ერთ მარგალიტს გაგაცნობთ კიდევ ერთი „აზრის გიგანტის“ ნაცოდვილარიდან და მკითხველმა თვითონ განსაჯოს, დამკვეთი რაში ყრის მილიონობით დოლარსა და ევროს:

**„ბოლო არჩევნებში „ოცნებას“ ყოველთვის უჭირდა პირველი ტურის მოგება და უმთავრესად მეორე ტურში ახერხებდა ფინანსების, ასევე ადმინისტრაციული და სხვა რესურსის მობილიზებას“** – ფაქტების გაყალბება გამიგია, ფაქტების აღქმებით გადაფარვა გამიგია, მაგრამ ციფრების უარყოფა, თუ უკუღმა წაკითხვა – სიახლეა, „ნოუ-ჰაუ“(!). არ იფიქროთ, ვინმე „უბრალო მოკვდავთან“ გვქონდეს საქმე – **„დასკვნის“ „შემოქმედი“,** არც მეტი, არც ნაკლები, **„პროფესორი“ კორნელი კაკაჩიაა.**

პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ **ძირშივე გაუგებარია,** როდესაც მომავალი (პროპორციული სისტემით ჩასატარებელი) საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო შედეგების „ანალიზი“ განგიზრახავს, **მეორე ტური რა შუაშია.** მაგრამ საპნის ბუშტი ხომ უნდა გაბეროს? ავტორის „ლოგიკა“ იმ „პრინციპზეა“ აგებული, ბავშვობაში რომ ვიტყოდით-ხოლმე – **„შოკოლადი ტკბილია, მაგრამ თვითმფრინავი უფრო სწრაფად დაფრინავს“(!).**

მეგრანტეს „ნააზრევის“ აბსურდულობაში დასარწმუნებლად, **„ბოლო არჩევნების“** ციფრებს გადავხედოთ – **2020 წელი – 48%; 2021 წელი – 47%...** ჩვენი „კრიტიკოსი“ ისეთი შეუვალი ვინმე ჩანს, იტყვის, **„უი, უი, 2018-ის არჩევნები მეგონა ბოლოო...“** იაკობ გოგებაშვილობაზე პრეტენზია არასდროს მქონია, მაგრამ ჩემი ოჯახის მეგრული ფრთის ხათრით, უცხოურ ინკუბატორში გამოჩეკილ „ანალიტიკოსს“ ერთ აქსიომურ ჭეშმარიტებას შევახსენებდი – **სახელმწიფო მნიშვნელობის თემებზე საუბრისას, როყიოდ გასროლილ ყველა სიტყვას ბუმერანგის ეფექტი აქვს** და ადრე თუ გვიან, ტკივილის მომტანი იქნება ძარღვგაწყვეტილი შუბლისთვისაც კი.

ყველანაირი სპეკულაციები რომ გადავაზღვიოთ, **„უი, უი“-ზეც** მოგახსენებთ ერთ-ორ სიტყვას: მთელმა საქართველომ იცის, რომ **2018-ში კანდიდატმა ზურაბიშვილმა გადაწყვიტა კამპანია საკუთარი „გემოვნებით“ ეწარმოებინა** და „ოცნების“ შტაბი, ფაქტობრივად, გვერდზე გასწია. მეორე ტურში უკვე „ოცნების“ შტაბმა გასწია გვერდზე პირველი ტურის ანტიგმირი და რაც იყო და როგორც იყო, **შთამბეჭდავი შედეგის სახით დაფიქსირდა** „ტაბლოზე“. აღნიშნულიდან გამომდინარე, „პროფესორის“ „დასკვნა“ ამ შემთხვევისთვისაც ვერ იქნება ობიექტური.

ჩვენი მეგრანტე აუცილებლად ხავსზე ჩაჭიდებას შეეცდება, „ინდივიდუალურ არჩევნებში ხომ იყო მეორე ტურებიო...“ მაგრამ აქაც **არცოდნასთან გვაქვს საქმე, ან განზრახ იბრიყვებს თავს.** ჩვენო განათლებაზე შემომწყრალო, როცა არჩევნები ტარდება 50%-იანი ბარიერით, **მეორე კლასის არითმეტიკის ცოდნა სრულიად საკმარისია იმის მისახვედრად, რომ 47-48%-იანი მხარდაჭერის მქონე სუბიექტი ოლქების ნაწილში პირველ ტურშივე მოიგებს, ნაწილში – მეორეში(!).**

**არჩევნებს ვერც მოყოლით ისწავლი და ვერც წაკითხვით.** თუ რამდენჯერმე არ ყოფილხარ პროცესის მონაწილე, თანაც მაღალი პასუხისმგებლობით, „მსჯელობაში“ ყოველთვის გაიჭედები. დამკვეთის პოზიცია გასაგებია – **იხმარე და გადააგდე...** მაგრამ... **არ ვიცი რა ჰქვია და რა იწვევს ასეთ თვითმწვალებლობას,** ნუთუ მხოლოდ ის, რომ კუჭი თავისას ითხოვს?..

ისტორია მკარნახობს, რომ აქ ჩაღრმავება არ ღირს. **სადი აზრის ლოგიკა შინაარსს მთლიანად კარგავს, როცა მავანი სულის გაყიდვის გადაწყვეტილებას მიიღებს.** მაგალითებისთვის შორს წასვლა არ გვიწევს, გასული საუკუნის 30-იანი წლების გახსენებაც კმარა. როცა ამბიცია გაწუხებს და წინსვლის პრობლემა გაქვს იმის გამო, რომ სხვა შენზე გონიერი, შენზე განათლებული, ან სხვა ნიშნით შენზე გამორჩეულია, **კრემლს უნდა აჩვენო ერთგულება, გინდა მოსკოვის და გინდა ვაშინგტონის** და გიჩნდება შანსი, იმ სხვაზე წინ აღმოჩნდე.

აღნიშნულ გზაზე წარმატების მისაღწევად მხოლოდ ერთი თვისებაა საჭირო – **შენი თავი ქვეყანაზე მეტად უნდა გიყვარდეს.** უსამშობლობაც აქედან მოდის.

**ბიძინა დვალი**

12.01.2024 წ.

## ბიძინა ივანიშვილი:

# ერთობა ჩვენთვის ტაქტია...

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ბოლომდე დავიცვათ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, სრულად აღვადგინოთ სახელმწიფო სუვერენიტეტი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, საქართველო 2030 წლამდე მაღალშემოსავლიანი ქვეყნების რიგში ჩავაყენოთ და ევროკავშირში გავაწევრიანოთ. ჩვენი ვალია, ეს შესაძლებლობა სრულად გამოვიყენოთ და ამისათვის ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ.

ჩვენი სამშობლო, ჩვენი ღირსეული და ამაყი ერი მხოლოდ საუკეთესოს იმსახურებს. თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა, საქართველოს წინსვლისა და წარმატებისთვის ბოლომდე დავიხარჯოთ. სწორედ ამ პასუხისმგებლობამ დამაბრუნა კიდევ ერთხელ პოლიტიკაში.



## ირაკლი ღარიბაშვილი:

# ქვეყანა უნდა მოემზადოს გამთლიანებისთვის

### ამ პროცესში ივანიშვილს ექნება ძალიან მნიშვნელოვანი და უნიკალური როლი!

**ქართულ პოლიტიკაში მესამედ მობრუნებულმა ბიძინა ივანიშვილმა მთავარ მიზნად არა საარჩევნოდ პარტიის კიდევ უფრო გაძლიერება, არამედ ჭარბად მოძლიერებული გუნდის ადამიანური ცდუნებებისგან დაცვა დაასახელა. აცხადებს, რომ 2024 წლის არჩევნებში „ქართული ოცნება“ აუცილებლად გაიმარჯვებს და გუნდი იმ ხაზს გაჰყვება, რასაც 2012 წლიდან მიჰყვება – ქვეყანა 2030 წლამდე ევროკავშირის წევრი გახდეს.**

**როგორც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ახლა რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, „ქართული ოცნება“ 90-100 მანდატს საარჩევნო კამპანიის გარეშეც მიიღებდა.**

შესაბამისად, მთავარი მიზანი არა საარჩევნოდ პარტიის კიდევ უფრო გაძლიერება, არამედ ჭარბად მოძლიერებული გუნდის ადამიანური ცდუნებებისგან დაცვაა. მისი თქმით, მმართველი პარტია საჭიროებს ახალ სიმძიმის ცენტრს და მიაჩნია, რომ მის მიერ ამ ახალი სიმძიმის ცენტრის მისიის შესრულება დღეს დროული და აუცილებელია.

**„ამისთვის, 2-3 კაცთან კონსულტაციები ვეღარ იქნება საკმარისი და მიმაჩნია, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება ჩემსა და გუნდს შორის ბევრად უფრო ფართო კონსულტაციებს და კოორდინაციას საჭიროებს. ვიქნები გუნდის მთავარი მრჩეველი. ჩემი პოლიტიკური და ცხოვრებისეული გამოცდილება და შესაბამისი რჩევები ესაჭიროება გუნდს, რათა ჩვენი ქვეყანა საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანოთ.**

**ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ბოლომდე დავიცვათ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, სრულად აღვადგინოთ სახელმწიფო სუვერენიტეტი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, საქართველო 2030 წლამდე მაღალშემოსავლიანი ქვეყნების რიგში ჩავაყენოთ და ევროკავშირში გავაწევრიანოთ. ჩვენი ვალია, ეს შესაძლებლობა სრულად გამოვიყენოთ და ამისათვის ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ.**

**ჩვენი სამშობლო, ჩვენი ღირსეული და ამაყი ერი მხოლოდ საუკეთესოს იმსახურებს. თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა, საქართველოს წინსვლისა და წარმატებისთვის ბოლომდე დავიხარჯოთ. სწორედ ამ პასუხისმგებლობამ დამაბრუნა კიდევ ერთხელ პოლიტიკაში“,** – განაცხადა **ბიძინა ივანიშვილმა.**

აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ წესდებაში მეშვიდე რიგგარეშე ყრილობის მიერ დამტკიცებული ცვლილებები შევიდა, რომლის თანახმადაც პარტიის სტრუქტურას ემატება – პარტიის საპატიო თავმჯდომარე. პარტიის საპატიო თავმჯდომარედ პარტიის ყრილობამ შეიძლება აირჩიოს პირი, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქვეყნის და პარტიის წინაშე.

ახალ წესდებაში განსაზღვრულია პოლიტიკური საბჭოს ფუნქციები, მათ შორის დოკუმენტში ნათქვამია, რომ პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან პარტიის საპატიო თავმჯდომარე, პარტიის თავმჯდომარე და პარტიის ყრილობის მიერ არჩეული 15 წევრი. ახალი წესდების თანახმად, პოლიტიკური საბჭო პარტიის საპატიო თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის პოლიტიკაში დაბრუნება და ცვლილება პარტიის წესდებაში მოულოდნელი იყო თავად პარტიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი საპატიო თავმჯდომარის სტატუსით დაბრუნდა, პარტიის მმართველობა მთლიანად გადაიბარა პარტიის ოფიციალური თავმჯდომარისგან, **ირაკლი კობახიძისგან**. გარდა ამისა, არაოფიციალური ინფორმაციით, ივანიშვილის გადაწყვეტილებით პარტიის არაპოპულარული წევრები და ამ შემთხვევაში საუბარია პარტიის ახალგაზრდულ გუნდზე. არსებული ინფორმაციით ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად თებერვალში გამოვა. მიუხედავად იმისა, რომ წესდების მიხედვით შეუძლია პრემიერ-მინისტრის განთავისუფლება, ამ ეტაპზე **ირაკლი ღარიბაშვილის** განთავისუფლება არ იგეგმება.

როგორ განვითარდება პროცესები პარტიის შიგნით უკვე ივანიშვილის მმართველობის შემთხვევაში, for.ge-სთან საუბრისას ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ამას უახლოეს მომავალში ვნახავთ, ისევე როგორც მალევე ვნახავთ დაიწყება თუ არა „ქართულ ოცნებაში“ განხეთქილება, სადაც რამდენიმე ფრთა ნამდვილად გაჩნდა.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ფიქრობს, რომ შეიძლება „ქართული ოცნება“ გაიყოს და ეს გაყოფა იყოს ივანიშვილის ერთ-ერთ ამოცანა. როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, დღეს არსებული ოპოზიციისგან ალტერნატივა ვერ შეიქმნება და შეიძლება სწორედ ამიტომ „ქართული ოცნება“ გაორდეს, სწორედ ისე, როგორც ეს მოხდა „მოქალაქეთა კავშირის“ შემთხვევაში, როდესაც შეიქმნა ზურაბ ჟვანიას და მიხეილ სააკაშვილის გუნდი.

**„ის, რომ ივანიშვილის მართვის გავლენიდან შეიძლება ნელ-ნელა გასულიყვნენ ადამიანები, ეს ბუნებრივია. მოსალოდნელია ამ დიდი პარტიის დაშლა. არა იმიტომ, რომ თვითონ შიგნით აქვთ კონფლიქტები, არამედ იმისთვის, რომ საქართველოში პოლიტიკური სპექტრი შეიქმნას, რადგან არსებულმა ოპოზიციამ პოლიტიკური სპექტრის ფუნქცია, ანუ ხელისუფლების ალტერნატივის ფუნქცია ვერ შეასრულა.**

**არსებული ოპოზიციისგან ვერ შეიქმნება ალტერნატივა. „ქართული ოცნება“ გაორდება. სახელისუფლებო პარტიები არ გაორდა შევარდნაძის დროს და ზვიადის დროს? გვქონდა მაშინ ვერსია, რომ ჟვანია და სააკაშვილი დამოუკიდებელი ძალა გახდებოდნენ. ისეთი მდიდარი ისტორია გავიარეთ 30 წელიწადში, რომ კიდე არ უნდა გვიკვირდეს, არიქა, პარტია როგორ შეიძლება გაიყოსო, როცა ყველა პოლიტიკური პროგრესი საქართველოში გაყოფის ხარჯზე მოხდა“,** – აცხადებს **საყვარელიძე.**

განსხვავებული პოზიცია აქვს კონსტიტუციონალისტ **ვახტანგ ძაბირაძეს**, რომლის განცხადებით, ივანიშვილის დაბრუნებით ელექტორალური თვალსაზრისით, ბევრი არაფერი შეიცვლება. ძაბირაძის შეფასებით, ივანიშვილის მესამედ შემოსვლა პოლიტიკაში უკავშირდება საპარლამენტო არჩევნებს და არა კორუფციასთან ბრძოლას.

**„დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც სოციოლოგიურ გამოკითხვებს ყველაზე ინტენსიურად ატარებს და მოსახლეობაში განწყობები მშვენივრად იცის. მართალია, ივანიშვილის დაბრუნებით ელექტორალური თვალსაზრისით, ბევრი არაფერი შეიცვლება, თუმცა, როგორც ჩანს, ივანიშვილს ურჩევნია, თავად განაგებდეს ყველაფერს, მით უმეტეს, მნიშვნელოვანი იქნება, ალბათ, სიის დაკომპლექტება, რაზეც, არ გამოვრიცხავ, რომ „ქართული ოცნების“ შიგნით ჯგუფებს შორის დაპირისპირება არსებობდეს, მაგრამ არა ივანიშვილის ჩანაცვლებაზე, არამედ იმაზე, ვინ იქნება პირველი ვეზირი ივანიშვილის კარზე“,** – აღნიშნა **ვახტანგ ძაბირაძემ.**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** თვლის, რომ 2024 წელს საბოლოოდ დასრულდება ლუზერ ნაცთა, მის სატელიტთა ანუ კოლექტიური მეხუთე კოლონის ბოგინი ქართულ პოლიტიკაში.

**„ქართული პოლიტიკის პელე ისევ ბრუნდება დიდ სათამაშო მოედანზე! ის დროა უკვე პოლიტიკურ სამარეში ჩაწოლილი ნაცები თავად იყრიდნენ მიწას საკუთარ თავზე! 2011 წლის სექტემბრიდან დღემდე, რა თამაშიც ითამაშა ამ ღირსეულმა და საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა მამულიშვილმა, ყველა პირწმინდად მოიგო! ამრიგად, უეჭველია, როომ 2024 წლიდან საქართველო მყარად დაადგება ჭეშმარიტად დამოუკიდებელ და სუვერენულ გზას, რაც უპირველესად გამოიხატება ეროვნული იდენტობის დაცვით, სრულყოფით და ქვეყნის დემოკრატიული განვითარებით“,** – ამბობს **ედიშერ გვენეტაძე.**

„ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებისთანავე ძალიან ვრცელი და მნიშვნელოვანი კომენტარი გააკეთა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა ივანიშვილის როლს ქვეყნის განმთლიანების საქმეში...

**„ამიტომ, ქვეყანა უნდა მოემზადოს გამთლიანებისთვის – ამ პროცესში ივანიშვილს ექნება ძალიან მნიშვნელოვანი და უნიკალური როლი“,** – ბრძანა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

**არ ვიცი ამ სიტყვების უკან კონკრეტულად რა გეგმაა, რა გადასადგმელი ნაბიჯებია, მაგრამ რადგან, ფაქტობრივად, 2024 წელი დაანონსდა ისეთი დევიზით, რომ ქვეყანა უნდა მოემზადოს განმთლიანებისთვის, ვიმეორებ, ამ საქმეში ბიძინა ივანიშვილს ექნება მნიშვნელოვანი და უნიკალური როლი.**

**როგორც ჩანს, ამ როლის შესასრულებლად საჭირო იყო კულუარებიდან ბიძინა ივანიშვილის აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება. მე ასე გავიგე, ასე ამოვიკითხე და ფაქტობრივად, ორაზროვნადაც არ იყო ნათქვამი ეს განცხადება. საკმაოდ, ღიად, გასაგებად და თამამად გაკეთებული განცხადება იყო. ამიტომ, ეჭვი შევიტანო, რომ ის არ ითქვა, რაც უნდა თქმულიყო, ან ის ვერ გავიგე, რაც უნდა გამეგო, ამის განცდა არ მაქვს. ამიტომ, გამოვყოფდი ამ მნიშვნელოვან ელემენტს, რამაც, როგორც ჩანს, უბიძგა ბიძინა ივანიშვილს დაბრუნებულიყო აქტიურ პოლიტიკაში“,** – დასძინა **დავით ქართველიშვილმა.**

**თამთა ქარჩავა**

თემის გაგრძელება იხ. 6 გვ.

# ყოფილი ელჩი სულ გამოლენჩებულა!



**იმ დროს, როდესაც დასავლეთის ქვეყნები უნდა გაერთიანდნენ, მითუმეტეს როდესაც საქმე ეხება მაგალითად უკრაინის პრობლემას, საქართველო არ ჩანს ამ საუბრებში და კიდევ უფრო შორს მიდის დასავლური საზოგადოებისგან. ბევრი მისი მოქმედება კიდევ უფრო აშორებს დასავლეთს.**

**„ოცნების" დელეგაცია წავიდა ჩინეთში, რომელსაც საქართველო თავის სტრატეგიულ პარტნიორს უწოდებს. როდესაც მე თბილისში ვიყავი ვიზიტით, მთავრობა რუტინულად ეძახდა ამერიკის შეერთებულ შტატებს სტრატეგიულ პარტნიორს, მაგრამ მის ქმედებებს და რიტორიკას აქვს აბსოლუტურად სხვა გზავნილები.**

**პრემიერ-მინისტრიც იმყოფებოდა ჩინეთში, ასევე იმყოფებოდა ბუდაპეშტში, რომელიც ყველაზე ნაკლებად დასავლური ქვეყანაა ევროკავშირის ქვეყნებს შორის და ამავდროულად, ხელს უშლიან პრეზიდენტს ბრიუსელში წასვლაზე. იმპიჩმენტიც კი მოუწყვეს პრეზიდენტს. ქმედებებით საქართველო არ აჩვენებს, რომ ისინი პროდასავლურები არიან და ბევრი ამერიკელიც ფიქრობს, რომ ისინი დაშორდნენ დასავლეთს. ამიტომაც, ოცნებას და მის საპატიო თავმჯდომარეს მოუწევს ამაზე პასუხისგება, განაცხადა აშშ-ის ყოფილმა ელჩმა საქართველოში იან კელიმ...**

* * *

**რას გვერჩის ეს ყოფილი ამერიკელი ელჩი?! ამ სულელურ, იდიოტურ შეფასებას საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზე სამტროდ გადაკიდებული აგენტი, ჩამშვები და ენაჭარტალა ვაიდიპლომატი თუ მოახერხებდა მხოლოდ!**

**ამ გამოლენჩებულ იან კელის ჩინეთიც და უნგრეთიც რომ ეპატარავება!.. რა სისაცილოა!**

## ზურაბ ქადაგიძე:
## ნეტა, ჩვენი „ნამუსახდილი" „პოლიტიკოსები" რას ფიქრობენ ამ განცხადებაზე?



**„ხალხის ძალის"** წევრი, ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე** დასავლური მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ზელენსკი სთხოვს შვეიცარიულ მხარეს, რომ ორგანიზება გაუწიოს „მშვიდობის სამიტს" და ასევე, აუცილებლად დაესწროს მას ჩინეთი, სოციალურ ქსელში ეხმაურება.

**ამ განცხადებით კიდევ ერთხელ დასტურდება რამდენად არაადეკვატურია ქართული რადიკალური ოპოზიცია პოლიტიკური შეფასებებისას, როცა საქართველო-ჩინეთის ურთიერთობას აკრიტიკებენ.**

**„ზელენსკი სთხოვს შვეიცარიულ მხარეს, რომ ჩინეთი აუცილებლად უნდა დაესწროს სამიტს... ნეტა, ჩვენი „ნამუსახდილი" „პოლიტიკოსები" რას ფიქრობენ ბატონი ზელენსკის განცხადებაზე? აბა, ავტორიტარული, კომუნისტური ჩინეთი შეუთავსებელია ცივილიზებულ სამყაროსთანო?**

**გუშინ ერთმანეთს ასწრებდნენ გახარიები, „ლელოები" და ქართველი „უსამშობლოები", თუ ვინ უფრო მეტ სიგიჟეს იტყოდა ქართულ-ჩინურ სტრატეგიულ ურთიერთობაზე...**

**ამ დროს კი ჩვენი დელეგაცია უმაღლესი დონის შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩინეთში, რაც საქართველოს როლს გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე უფრო მეტად აქტუალურს ხდის.**

**აი, რატომ არის მმართველ პარტიასა და პარაზიტ ოპოზიციას შორის რეიტინგებში უპრეცედენტო მასშტაბის განსხვავება – საქართველოს ხელისუფლება ყველა რესურსს იყენებს, რომ ქვეყანა მიმზიდველი იყოს, როგორც დასავლეთის, ასევე – აღმოსავლეთისათვის, სტრატეგიულ პარტნიორობას უწევს ჩინეთს და ევროპისაკენ ყველაზე უსაფრთხო დერეფნის უზრუნველყოფას აორგანიზებს, ხოლო, ჩვენი „უსამშობლო" პოლიტიკანები, საკუთარი პოლიტიკური უპერსპექტივობის გადასაფარად, ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებიან.**

**ჰოდა, პატივცემულო რადიკალებო, კი ხართ ჩაფლულები ყელამდე და 2024-ის არჩევნებზე ყვინთაობაც მოგიწევთ!"**, – წერს ზურაბ ქადაგიძე.

# „ქართული ოცნების" დელეგაციის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გრძელდება

**„ქართული ოცნების" თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით, მმართველი პარტიის დელეგაციის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გრძელდება.**

მმართველი პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გიორგი ვოლსკი**, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ირაკლი ჩიქოვანი**, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ სამხარაძე**, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე **დავით სონღულაშვილი**, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ნინო წილოსანი** და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვიქტორ სანიკიძე**.

ვიზიტის ფარგლებში მაღალი დონის შეხვედრები პეკინსა და შანხაიში იმართება. „ქართული ოცნების" დეპუტატების ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 20 იანვრამდე გაგრძელდება.

## ირაკლი კობახიძე:
## ჩინეთთან უკვე გვაქვს ძალიან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა




**მმართველი პარტიის დელეგაციის წევრები ჩინეთის ეროვნული სახალხო კონგრესის თავმჯდომარის მოადგილეს შეხვდნენ.** ირაკლი კობახიძის განცხადებით, შეხვედრაზე განხილული იყო თანამშრომლობის ყველა განზომილება.

**„გრძელდება ჩვენი ვიზიტი ჩინეთში. შევხვდით ჩინეთის ეროვნული სახალხო კონგრესის თავმჯდომარის მოადგილეს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს. საუბარი გვქონდა ორმხრივ თანამშრომლობაზე ჩინეთსა და საქართველოს შორის. რა თქმა უნდა, ამ თანამშრომლობის საპარლამენტო განზომილებაც არის ძალიან მნიშვნელოვანი. საუბარი გვქონდა როგორც პოლიტიკური კუთხით თანამშრომლობაზე, ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, კულტურის სფეროში თანამშრომლობაზე. თანამშრომლობის ყველა განზომილება არის თანაბრად მნიშვნელოვანი ჩვენთვის. ჩვენ შევეხეთ აბსოლუტურად ყველა მიმართულებას და გამოითქვა მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისა და იმ პროცესის მიმართ, რომელიც არის დაკავშირებული ამ თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებასთან"**, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, საქართველოს ჩინეთთან უკვე აქვს ძალიან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა, თუმცა, როგორც კობახიძემ აღნიშნა, არსებობს ძალიან დიდი სივრცე, რომ ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდეს.

# ომბუდსმენმა ექიმთა კონსილიუმთან თანამშრომლობა გააგრძელა

სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, 15 იანვარს **ლევან იოსელიანმა** ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის თანახმად, აპარატმა მესამე პრეზიდენტ, მიხეილ სააკაშვილისათვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობისა და დროულობის შეფასების მიზნით შექმნილ სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფთან თანამშრომლობა გააგრძელა.

**„ჯგუფი, რომელიც 2021 წლის ნოემბრიდან ფუნქციონირებს, პერიოდულად ამოწმებს პაციენტის მდგომარეობას, ეცნობა სამედიცინო დოკუმენტაციას და აქვეყნებს დასკვნებს. ამ ეტაპზე ექიმთა კონსილიუმს 11 დასკვნა აქვს მომზადებული.**



ექიმ-ექსპერტთა ჯგუფის წევრები არიან: ნევროლოგი **თენგიზ წულაძე**, კარდიოლოგი **გიორგი კაჭარავა**, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი **გიორგი გრიგოლია**, ჰემატოლოგი, კლინიკური ონკოლოგი, ინტერნისტი და პალიატიური მედიცინის სპეციალისტი **აიდა გოზალოვა**, ენდოკრინოლოგი **ნინო ზავრაშვილი**, კარდიოლოგ-არითმიოლოგი **გიორგი პაპიაშვილი** და თერაპევტი, შინაგანი სნეულებებისა და ჰოსპიტალური მედიცინის სპეციალისტი **გრიგოლ ხურციძე"**, – აღნიშნულია განცხადებაში.

## საქსტატი: დეკემბერში საარსებო მინიმუმი შემცირდა...

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წლის დეკემბერში, ნოემბერთან შედარებით, საქართველოში საარსებო მინიმუმის ოდენობა შემცირდა.**

საქსტატის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ნოემბერში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცთა საარსებო მინიმუმი 252.3 ლარი იყო, დეკემბერში კი ეს მაჩვენებელი 2 ლარითა და 40 თეთრით შემცირდა და, ჯამში, 249.7 ლარი შეადგინა.

ამასთან, საქსტატის ცნობით, 2023 წლის ნოემბერთან შედარებით, დეკემბერში 2 ლარითა და 30 თეთრით არის შემცირებული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი და 221.1 ლარს შეადგენს.

როგორც უწყებაში განმარტავენ, 2021 წლიდან, ახალ სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებლის წარმოებას საქსტატი აღარ ახორციელებს (იგულისხმება ორსულიანი, სამსულიანი და ა.შ.).

როგორც საქსტატში აღნიშნავენ, ეს ინდიკატორი არ გამოიყენება არანაირი დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საქსტატის ცნობით, საარსებო მინიმუმი მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე დგინდება, მინიმალური სასურსათო კალათა კი შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისთვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას შეიცავს. საარსებო მინიმუმის სასურსათო კალათა შედგება 40 დასახელების პროდუქტისგან. ესენია: პური, ბურღულეული, ხორცი, რძის პროდუქტები, ბოსტნეული და საკონდიტრო ნაწარმი...

# 2023 წლის მონაცემებით, საქართველოში ექვს მილიონზე მეტი მგზავრია გადაყვანილი



**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ შეჯამებული მონაცემების მიხედვით, 2023 წელს, საქართველოს აეროპორტები რეგულარული და არარეგულარული რეისებით 6 013 995 მგზავრს მოემსახურა, რაც მგზავრთნაკადის რეკორდული მაჩვენებელია ქვეყნისთვის.**

სააგენტოს ცნობით, 2023 წელს მიღებული მგზავრების რაოდენობა 35%-ით მეტია 2022 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაზე და 15%-ით აღემატება 2019 წელს აღრიცხული მგზავრთნაკადის მაჩვენებელს. გასულ წელს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 3 694 052 მგზავრს მოემსახურა. ზრდა 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 23%-ს შეადგენს.

ამასთან, მგზავრთნაკადის აღნიშნული მაჩვენებლით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 100%-ით დაუბრუნდა 2019 წელს დაფიქსირებული მგზავრების რაოდენობრივ მაჩვენებელს (ზრდა 0.05%-ს შეადგენს). ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით გადაყვანილ იქნა 1 671 198 მგზავრი. მგზავრთნაკადის ზრდა 2022 წელთან შედარებით 110%-ს შეადგენს.

2019 წელთან შედარებით კი, ქუთაისის აეროპორტის 91%-ით მეტ მგზავრს მოემსახურა. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი 621 514 მგზავრს მოემსახურა. ზრდა 2022 წელთან შედარებით 0.75%-ია, ხოლო 2019 წელთან მიმართებაში, მგზავრთნაკადის აღდგენის მაჩვენებელი 99.58%-ს შეადგენს.



# მეცნიერების ორგანიზატორი, ქვეყნის პატრიოტი, ღირსეული პიროვნება

## აკადემიკოსი გურამ ხარატიშვილი – 90

**შესრულდა 90 წელი შესანიშნავი მეცნიერის, მეცნიერების ბრწყინვალე ორგანიზატორის და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს გურამ ხარატიშვილის დაბადებიდან.**

გურამ ხარატიშვილი დაიბადა 1934 წლის 14 იანვარს ქალაქ გორში. დედა, ირინე მიხეილის ასული რაზიკაშვილი, ექიმი იყო, მამა – ლევან ნიკოლოზის ძე – ინჟინერი.

გურამ ხარატიშვილმა 1951 წელს დაამთავრა გორის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო მ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თავისი სადიპლომო ნაშრომი მან შეასრულა გამოჩენილი მათემატიკოსის ილია ვეკუას ხელმძღვანელობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ი. ვეკუას რჩევითა და რეკომენდაციით დაბრუნდა თბილისში (1956 წ.) და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში (1957-1966 წწ.). აქ მან განვლო გზა უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლიდან განყოფილების გამგემდე. გ. ხარატიშვილის პირველი გამოკვლევა ეხებოდა მინიმალური საკუთრივი რიცხვების გამოთვლის მეთოდის დამუშავებას სპეციალური კლასის ინტეგრალური განტოლებებისათვის. გ.ხარატიშვილის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია 1958 წელი, როცა პირველად შეხვდა გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსს, ოპტიმალური მართვის მათემატიკური თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებელს რევაზ გამყრელიძეს. შეხვედრას შედეგად მოჰყვა ის, რომ ბატონი გურამი 1958-1961 წლებში, რ. გამყრელიძის ხელმძღვანელობით გადიოდა სამეცნიერო სტაჟირებას მოსკოვში, ვ.სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც ფუნქციონირებდა გენიალური რუსი მათემატიკოსის ლ. პონტრიაგინის სახელგანთქმული სემინარი.

ერთ-ერთ სემინარზე ავტომატური მართვის თეორიის ცნობილი მეცნიერების ფელდბაუმისა და აიზერმანის მიერ დასმული იქნა კონკრეტული ოპტიმალური ამოცანა დაგვიანების ფაქტორის გათვალისწინებით. შემდეგ ეს ამოცანა, რ. გამყრელიძის მიერ მათემატიკურად ფორმალიზებული, გახდა ბატონი გურამის კვლევის საგანი. 1961 წელს გ. ხარატიშვილმა შეასრულა ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელმაც მას ფართო საერთაშორისო აღიარება და პოპულარობა მოუტანა. სახელდობრ, გ. ხარატიშვილის მიერ ფაზურ კოორდინატებში მუდმივი დაგვიანების შემცველი სამართი სისტემისათვის პირველად დამტკიცებული იქნა პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპის ანალოგი. შემდეგში ეს გამოკვლევა საფუძვლად დაედო დაგვიანებულ არგუმენტიანი ოპტიმალური მართვის თეორიას.

გ. ხარატიშვილი, რ. გამყრელიძესთან ერთად, ითვლება საქართველოში ოპტიმალური მართვის თეორიის მიმართულებით კვლევების ინიციატორად, სულისჩამდგმელად და გამორჩეულ ორგანიზატორად. გ. ხარატიშვილის მეცნიერული ინტერესები ეხებოდა ექსტრემალური ამოცანების ზოგად თეორიას, დიფერენციალური თამაშების თეორიას, გამოთვლით მეთოდებს ოპტიმალურ ამოცანებში, ცვლადსტრუქტურიან სამართ სისტემებს, ეკონომიკური სისტემების მოდელირებასა და ოპტიმიზაციას, ჩვეულებრივი და ფუნქციონალური, დიფერენციალური განტოლებების თეორიის სხვადასხვა ასპექტებს. მისი უშუალო მხარდაჭერით კიბერნეტიკის ინსტიტუტში დაიწყო კვლევები სიმბოლური და კვანტური გამოთვლების, აგრეთვე კვანტური სისტემების მართვის თეორიაში.

გ. ხარატიშვილმა 1969 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1970 წლიდან იყო თსუ პროფესორი. 1979 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს აკადემიის ნამდვილ წევრად.

გ. ხარატიშვილი იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე და ორგანიზატორი. მათ შორის აღსანიშნავია: საერთაშორისო სიმპოზიუმი მართვის თეორიაში (ლოს ანჯელესი, 1967, აშშ), თბილისი (1969, 1976); მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესი (ნიცა, 1970, საფრანგეთი).

გურამ ხარატიშვილი მართვის თეორიის პრობლემებზე ლექციების წასაკითხად არაერთხელ იყო მიწვეული უცხოეთის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში.

**გ. ხარატიშვილმა, რ. გამყრელიძესთან ერთად, ი. ვეკუას ხელშეწყობით თსუ-ს გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩამოაყალიბა მართვის თეორიის კათედრა, ხოლო თსუ-ს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში დიფერენციალური განტოლებებისა და მართვის თეორიის განყოფილება. მოკლე ხანში კათედრა და განყოფილება გადაიქცა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებისა და მეცნიერული კვლევების მძლავრ კერად.**

სხვადასხვა დროს გ. ხარატიშვილი იყო თსუ-ს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, თსუ-ს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, თსუ-ს მართვის თეორიის კათედრის გამგე, მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ-ს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მრავალი სამეცნიერო საბჭოსა და სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი.

აკად. გ. ხარატიშვილი მაღალი პროფესიონალიზმითა და მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით ეწეოდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი იყო საქართველოს 1991 წლის მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, მას ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

**ფრიად დასაფასებელია მისი მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, წლების განმავლობაში იყო მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ბიუროს წევრი. სიცოცხლის ბოლო წლებში აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობდა და ქვეყნისათვის რთულ პერიოდში მისთვის დამახასიათებელი პრინციპულობითა და მაღალი პასუხისმგებლობით თავდადებით ემსახურებოდა საქართველოში მეცნიერების გადარჩენისა და განვითარების საქმეს. მან მთელი თავისი ენერგია და გამოცდილება შეალია მეცნიერების მართვის ახალი კონცეფციის შემუშავებას, ბევრი გააკეთა, თუმცა მისი არაერთი მნიშვნელოვანი იდეა და წამოწყება განუხორციელებელი დარჩა.**

მნიშვნელოვანია გ. ხარატიშვილის წვლილი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებაში, მის მოწაფეებს შორის მრავლადაა მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, რომელთა გამოკვლევები აღიარებულია და ცნობილია საერთაშორისო მასშტაბით. ბატონი გურამი გამორჩეული ლექტორი და მოსაუბრე იყო, იგი გატაცებით, მომხიბვლელად და საგნისადმი სიღრმისეული წვდომით კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე.

2001 წელს გ. ხარატიშვილს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია.

15 წელი გადის გურამ ხარატიშვილის გარდაცვალებიდან და მისი დაკარგვით გამოწვეული სევდა და ტკივილი არ განელებულა. ყველგან, სადაც კი მუშაობდა, იგი ახსოვთ როგორც სრულიად გამორჩეული პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი, პრინციპული და ამავე დროს სამართლიანი, გაწონასწორებული, გულისხმიერი ადამიანი.

ღვაწლმოსილი მეცნიერის, თავისი ქვეყნის პატრიოტის და ღირსეული პიროვნების, აკადემიკოს გურამ ხარატიშვილის მიერ განვლილი ცხოვრების გზა და დატოვებული მეცნიერული მემკვიდრეობა მომავალი თაობებისათვის არის მისაბაძი და სტიმული შემოქმედებითი მუშაობისაკენ.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი.**



# მზექალა შანიძეს 98 წელი შეუსრულდა

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაგა სამუშია ცნობილ მეცნიერს, მზექალა შანიძეს დაბადების დღეს ულოცავს.**

„დღეს ჩვენი გამორჩეული მეცნიერი, თსუ-ს ემერიტუსი პროფესორი, აკადემიკოსი და ფილოლოგი მზექალა შანიძე იუბილარია! მას 98 წელი შეუსრულდა.

ვულოცავ მთელი გულით, ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ვუსურვებ. რთულია, მილოცვაში წარმოაჩინო ქალბატონი მზექალას დამსახურება უნივერსიტეტისა და ქვეყნის წინაშე. მიუხედავად თავისი ასაკისა, ის გამორჩეულად თანამედროვე მეცნიერია. იგი თავისი პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და საქმისადმი დამოკიდებულებით მისაბაძი და სამაგალითო ადამიანია მომავალი თაობებისთვის, გარშემო მყოფებისა და ქვეყნისთვის.

მნიშვნელოვანია მისი როლი ქართველოლოგიური საკითხების, ქართული სამწიგნობრო ტრადიციების საწყისის, ქართული თარგმანის ისტორიის კვლევის საქმეში. იგი ავტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, ხოლო მისი კვლევის სფერო ფართოა.

სამეცნიერო ნაშრომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ავთენტური ტექსტის დადგენასა და გამოცემას. აგრეთვე, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა მეცნიერულ შესწავლას. ყოველი მისი ნაშრომი საოცარი ფუნდამენტურობით გამოირჩევა, ამიტომაც, ყოველმხრივ სასიხარულო და საამაყოა მისი მუდმივი კავშირი ჩვენს უნივერსიტეტთან. თსუ ხომ ქალბატონი მზექალას მსგავსი მეცნიერების გამოცდილებაზე, მათ გაკვალულ გზასა და მათ მიერ აღზრდილ თაობებზე დგას. კიდევ ერთხელ ვულოცავ, ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიტეტის საამაყო მეცნიერს, ქალბატონ მზექალას, 98 წლის იუბილეს!

ვუსურვებ და ჩვენი ქვეყნისთვისაც ვისურვებ, რომ კიდევ და კიდევ მრავალი წელი ემსახუროს თსუ-სა და ქართულ მეცნიერებას თავისი ნიჭითა და გამოცდილებით“.



# დასრულდა ისტორიული ბაგა-ბაღის რესტავრაცია

**რუსთავში ისტორიული შენობების რესტავრაციის ფარგლებში, №1 საბავშვო ბაღის რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი დასრულდა. ქალაქის ისტორიული პირველი ბაგა-ბაღი, გასული საუკუნის 50-იან წლებში აშენდა და სრულ რეაბილიტაციას საჭიროებდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, №1 ბაგა-ბაღის გახსნას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლში გიორგი დოხტურიშვილი, რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილი, ქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები და ბაგა-ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები დაესწრნენ.

**„რუსთავში, დღეს გავხსენით ისტორიული ბაღი, რომელსაც წლების განმავლობაში სჭირდებოდა რეაბილიტაცია. შესრულდა ძალიან მნიშვნელოვანი და კომპლექსური სამუშაოები. მე მიხარია, რომ უკვე დღეიდან, რუსთავში გვაქვს კიდევ ერთი კეთილმოწყობილი, თანამედროვე ბაღი, რომელიც ჩვენი ქალაქის ისტორიის ნაწილია“,** – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.



საკონტროლო გასროლა ნაცებისთვის – ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მესამედ დაბრუნდა და ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ყრილობაზე გახდა ცნობილი. პოლიტიკაში ყოფნა მისთვის არაკომფორტულია, მაგრამ მაინც მიდის ამ კომპრომისზე და ამჯერად დაბრუნების მიზეზად მმართველი გუნდის „სიმძიმის ცენტრის“ საკუთარ თავზე აღებას ასახელებს. ის იქნება მმართველი გუნდის მთავარი მრჩეველი, რათა 2030 წლისთვის ქვეყანა მაღალშემოსავლიანი გახდეს, აღადგინოს სუვერენიტეტი, ქვეყნის მთლიანობა და ევროკავშირში გაწევრიანდეს. არაა გამორიცხული, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარედ გახდომის შემდეგ ივანიშვილი პრეზიდენტად ან პრემიერად მოგვევლინოს.

ნაცები თავს იტეხენ, რისთვის დაბრუნდა ივანიშვილი – იქნებ, „ოცნებას“ უჭირს და შიდა დაპირისპირება აქვს? იქნებ, საერთაშორისო სანქციების ეშინია და იქმნის ფორმალურ საფუძველს, რომ იგი სახელმწიფოს ფუნდამენტში მყოფი ადამიანია, რომლის დასანქცირებაც არ შეიძლება? იქნებ, სააკაშვილის ფაქტორი აფრთხობს?!

ბიძინა ივანიშვილი ამ მოსაზრებებს აბათილებს და ამბობს, რომ იგი უკვე დასანქცირებულია, მაგრამ ყველაფერი საკმარისად აქვს და პოლიტიკაში ისევ დაბრუნდა, რათა ქვეყანას კიდევ დაეხმაროს. ივანიშვილი, ასევე, ადასტურებს, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში კონსულტაციები ჰქონია ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან პოლიტიკურ საკითხებზე და ეს ჩვეულებრივი ამბავია ცივილიზებულ სახელმწიფოებში.

ივანიშვილის დაბრუნება ნაცების უიღბლო წელიწადის დაგვირგვინებაა, თუ გაფრთხილება მმართველი გუნდისთვის, რომ ოპოზიციის არარსებობის პირობებში მოდუნება არ შეიძლება?

ამის შესახებ for.ge-ს ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე ესაუბრა.

## რამაზ საყვარელიძე:

# წელს ხალხი ნამდვილად ნახავს სიხარულისგან ატირებულ ივანიშვილს!



## „ვფიქრობ, ივანიშვილი მესამე ძალის ჩამოყალიბებას აპირებს, ამიტომაც დაბრუნდა პოლიტიკაში“

**– თუკი დავეთანხმებით ბიძინა ივანიშვილის ნათქვამს, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებში გარანტირებულად მაღალ შედეგს დადებს, მაშინ ივანიშვილის მესამედ მობრუნების რეალური მიზეზი კიდევ უფრო მაღალი შედეგი უნდა იყოს, ანუ საქართველოს სრული იურისდიქციის აღდგენა, რაზეც მიანიშნა კიდეც ივანიშვილმა? სხვაგვარად ფიქრობენ ნაცები, ისინი მიიჩნევენ, რომ ბიძინას დაბრუნება განაჩენია „ქართული ოცნებისთვის“, რადგან ბიძინამ ერთხელ უკვე თქვა, თუ კატასტროფა არ მოხდება, პოლიტიკაში არ დავბრუნდებიო. რეალურად რისთვის დაბრუნდა ბიძინა ივანიშვილი და რამდენად მომგებიანია მისთვის ჩრდილიდან უკვე მესამედ გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე?**

– ცხადია, ამას იტყოდნენ „ნაციონალები“, რომ ბიძინა გამოჩნდა იმიტომ, თითქოს სააკაშვილის გააქტიურების ეშინია. ნაცებს პრობლემა არ აქვთ, რა თქვეს და რა არა. თქვენთან საუბრისას ადრეც მითქვამს, რომ ერთპარტიულობისკენ მიდის ქვეყანა და ერთპარტიულობა ქვეყნისთვის ცუდია. ეს თქვა კიდეც ივანიშვილმა. როგორ გამოსავალს იპოვის იგი აქედან, ამას დავინახავთ, მე მგონი, ესაა ძირითადი პრობლემა, რატომაც შემოვიდა პოლიტიკაში. თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ მესამედ მოსვლა და, მე მგონი, ივანიშვილი მესამედ სწორედ იმიტომ მოდის, რომ მესამე ძალა ჩამოაყალიბოს.

**– სხვათა შორის, ივანიშვილმა აღნიშნა კიდეც, სამწუხაროდ, განადგურდა ოპოზიციაო. შესაძლოა, მართლაც მიანიშნებს, რომ ოპოზიციის შექმნას აპირებს. მესამე ძალას ისევ „ქართული ოცნებიდან“ გამომავალი ჯგუფების საფუძველზე ჩამოაყალიბებს?**

– რა თქმა უნდა. უფრო ზუსტად, ეს მესამე ძალა არც იქნება, ეს იქნება მეორე ძალა და „ნაციონალები“ გადაიწევენ მესამე ადგილზე. ამიტომ არის ეს მათთვის კატასტროფა.

**– რაც შეეხება საქართველოს გაერთიანებას და დროებით ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას, ამის შესახებ არა მარტო ივანიშვილმა ისაუბრა, არამედ ღარიბაშვილმაც დაადასტურა ბიძინას ნათქვამი, რომ ივანიშვილის მისია იქნება ქვეყნის გაერთიანება, რომ ქვეყანა უნდა მომზადდეს გასაერთიანებლად და ეს ეროვნული საქმე ივანიშვილმა უნდა ჩაიბაროს. რა შანსები აქვს ამ თვალსაზრისით ბიძინა ივანიშვილს?**

– ალბათ, რკინის ქალამნებს ბიძინა არ ჩაიცვამს და ბჟანიასთან არ ჩავა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ალბათ, იგულისხმება ის ფაქტი, საერო ძალთა განლაგებას როგორ გამოიყენებენ საქართველოს მესვეურები, მათ შორის, ივანიშვილი. მე მგონი, გამოიყენებენ იმ საერთაშორისო ძალების ბალანსით, რაც შექმნა საქართველომ ბოლო პერიოდში და ეს არ არის მარტო ევროპული მხარე. განსხვავებით, ბევრი სხვა კლიენტისგან, საქართველომ მოახერხა ევროპულ-აზიური, კერძოდ, ჩინური მხარის დაინტერესება თავისი სატრანზიტო ფუნქციით. მეორე მხრივ, ვხედავთ, რომ ჩინეთის ელჩი შეგვპირდა კიდეც, ჩინეთი დაგეხმარებათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაშიო. მესამე მხარე ამ საკითხს ის აქვს, რომ ჩინეთს პუტინი ვერ ეკამათება. უამრავ რამეს აკეთებს ჩინეთი ისეთს, რაც პუტინის გეგმებში, ალბათ, არ ზის, ლამის წაიღოს მთელი ციმბირი და პუტინი ამაზე ხმას ვერ იღებს. ასე რომ, ამ შემთხვევაში, ევროპული ძალა არ არის გამანეიტრალებელი რუსეთისთვის, აგერ ვხედავთ, უკრაინაში მთელ დასავლეთს ებრძვის რუსეთი და უკან არ დაუხევია. რა გასაკვირია, ამ ფონზე ქართულ სახელმწიფოში მომწიფდა იმის უნარი, რომ დასავლეთის ძალებთან ერთად აღმოსავლეთის ძალებიც ჩართონ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ეს ორი ძალა ერთმანეთს არ გამორიცხავს.

**– უკვე კეთდება მინიშნებები, რომ „ქართულ ოცნებაში“ ახლა ყველას ეშინია, თუ ვის გაწირავს ბიძინა ივანიშვილი. როგორ ფიქრობთ, არსებობს ამის საფუძველი, რადგან საუბარია იმაზეც, რომ „ოცნება“ კორუფციაში ეფლობა და შეიძლება ამიტომაც დაბრუნდა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში?**

– სამწუხაროდ, არ ვარ კორუფციაში ისე გარკვეული, რომ კონკრეტული აზრი მქონდეს, მაგრამ ის, რაც ადრინდელი დაბრუნების დროს თქვა ბიძინა ივანიშვილმა, რომ დისტანცია ჩნდება „ოცნებასა“ და ხალხს შორის და ეს დისტანცია ამოსავსებია, შემთხვევითი არ იყო. მაშინაც ნაპრალი ხალხსა და „ოცნებას“ შორის ძირითადად ჩნდებოდა კორუფციის გამო. დიდი შანსია, ახლაც ივანიშვილის მობრუნების ერთ-ერთი მიზეზი იყოს ნაპრალი ხალხსა და „ოცნებას“ შორის, რომლის ძირშიც შეიძლება იყოს კორუფციის ნაღმი ჩადებული.

**– ივანიშვილს აღიზიანებდა, როცა მას ოლიგარქს ეძახდნენ. სულ ბოლოს პრეზიდენტმა ზურაბიშვილმაც ახსენა, ერთადერთი ოლიგარქი საქართველოში - ბიძინა ივანიშვილიო. ასეთი წამოძახილების გადაფარვა ხომ არ სურდა და ამიტომაც ხომ არ გადაწყვიტა, ღიად შემოსულიყო პოლიტიკაში? ამით ხომ თავისუფლად შეძლებს არაფორმალური მმართველობის იმიჯის მოშორებას?**

– იყო დრო, როდესაც დასავლეთი ბეჯითად იმეორებდა ამ საკითხს, ფორმალურია, თუ არაფორმალური ბიძინა ივანიშვილი. იმ პერიოდში ივანიშვილი გავიდა პოლიტიკიდან სწორედ იმ ფონზე, რომ შეწყვეტილიყო ეგ თემა. მართლაც შეწყდა ამაზე საუბარი, ბოლო ხანებში არავის არ გახსენებია, ივანიშვილი ფორმალურად მართავდა თუ არა „ქართულ ოცნებას“.

არანაირი საყვედური დასავლეთის მხრიდან ამაზე არ იყო. რაც შეეხება ზურაბიშვილის საყვედურს ამ საკითხზე, არა მგონია, იმხელა წონა ჰქონოდა ზურაბიშვილს, ეს ნაბიჯი გადაედგა ივანიშვილს.

**– ფაქტია, ორად-ორმა ადამიანმა ატკინა ივანიშვილს გული და ეს ამ ყრილობაზეც გახმიანდა. ივანიშვილმა ახსენა გახარიას ღალატი და ახსენა ზურაბიშვილი, რომელიც დღეს გამოკვეთილად გვევლინება ოპოზიციის მხარდამჭერად და ეს ზურაბიშვილის არჩევანია.**

– ბუნებრივია, ადამიანები, მით უმეტეს, ამ მასშტაბის ადამიანი ვერ მოახერხებს ისე ცხოვრებას, ვიღაცისგან გულნატკენი არ აღმოჩნდეს. უამრავ დიდ საქმესაა მოჭიდებული ბიძინა ივანიშვილი, მათ შორის, ქართული პოლიტიკის ბედ-იღბალს, ქართული სახელმწიფოს ბედ-იღბალს და გულისტკივილიც ექნება. ნიშანდობლივია ის, რომ ორივე შემთხვევაში, გახარიას და ზურაბიშვილის შემთხვევაშიც, ლოგიკურად ცოტა გაუგებარია, რატომ გადადგეს მათ ის ნაბიჯი, რაც გადადგეს. ერთიც და მეორეც უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები იყვნენ.

**– გიორგი ვაშაძე „სტრატეგიულ“ პირობას აძლევს საზოგადოებას, რომ 2024-ში ხალხი ნახავს ატირებულ ივანიშვილს. სინამდვილეში, მესამე შემობრუნების ვადას როგორ ჩაათავებს ბიძინა ივანიშვილი?**

– მეც მგონია, რომ ატირებულ ივანიშვილს ვნახავთ, ოღონდ სიხარულისგან ატირებულს.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

**საქართველომ მოახერხა ევროპულ-აზიური, კერძოდ, ჩინური მხარის დაინტერესება თავისი სატრანზიტო ფუნქციით. მეორე მხრივ, ვხედავთ, რომ ჩინეთის ელჩი შეგვპირდა კიდეც, ჩინეთი დაგეხმარებათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაშიო. მესამე მხარე ამ საკითხს ის აქვს, რომ ჩინეთს პუტინი ვერ ეკამათება. უამრავ რამეს აკეთებს ჩინეთი ისეთს, რაც პუტინის გეგმებში, ალბათ, არ ზის, ლამის წაიღოს მთელი ციმბირი და პუტინი ამაზე ხმას ვერ იღებს. ასე რომ, ამ შემთხვევაში, ევროპული ძალა არ არის გამანეიტრალებელი რუსეთისთვის, აგერ ვხედავთ, უკრაინაში მთელ დასავლეთს ებრძვის რუსეთი და უკან არ დაუხევია. რა გასაკვირია, ამ ფონზე ქართულ სახელმწიფოში მომწიფდა იმის უნარი, რომ დასავლეთის ძალებთან ერთად აღმოსავლეთის ძალებიც ჩართონ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ეს ორი ძალა ერთმანეთს არ გამორიცხავს.**

# დამცავი ფარი




## აშშ-ის დახმარება ჯანდაცვაში
## დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე

(მეორე გვერდიდან)

**– შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან აშშ საქართველოს პირველი დონორი ქვეყანა იყო როგორც ფინანსური, ასევე ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების კუთხით. როგორც ვიცით, ეს მხარდაჭერა სამ კომპონენტს მოიცავს...**

– შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემების გადასაჭრელად ერთობლივი მუშაობა 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყეს, რამაც არაერთი სიცოცხლე გადაარჩინა და საქართველოს მოსახლეობა დაიცვა. ამ მიმართულებით ძალისხმევა აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან მალევე დაიწყო დაავადებათა გამოვლენისა და პრევენციის კუთხით. აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა (CDC) და საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა სისტემამ ერთობლივად გამოიკვლიეს დიფტერიის ეპიდაფეთქება (**დიფთერია მწვავე ინფექციური დაავადებაა, ხასიათდება ნუშურების, ხახის, ცხვირის, ხორხის, ტრაქეის, ზოგჯერ თვალისა და გენიტალიების, იშვიათად კანისა და სხვა ორგანოების ლორწოვანი გარსების ფიბრინული ანთებითა და ზოგადი ინტოქსიკაციით. 90-იან წლებში საქართველოში დიფთერიის ეპიდემია დაიწყო, რომელიც გაგრძელდა 90-იანი წლების ბოლომდე, დაფიქსირდა 1500-ზე მეტი შემთხვევა, მათ შორის – 150-მდე ლეტალური – რედ.**) ჩვენი მრავალწლიანი პარტნიორობის შედეგად ჩამოყალიბდა ძსაქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (NCDC), რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონში საზოგადოებრივი ჯანდაცვის წამყვან დაწესებულებად იქცა.

ჩვენი პარტნიორობა მუდმივად აძლიერებს საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობებს მართოს დაავადების საფრთხეები. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) დააფინანსა საქართველოში 0-12 თვის ბავშვებში ჩატარებული იმუნიზაცია, ხოლო თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტო (DTRA) და უოლტერ რიდის სახელობის სამხედრო კვლევითი ინსტიტუტი (WRAIR) ქართველ პარტნიორებთან ერთად განაგრძობენ მუშაობას ხალხის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალების შესაძლებლობების განვითარება აშშ-ის მთავრობის მხარდაჭერის ძირითადი კომპონენტია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში მდგრადი ინიციატივების განსახორციელებლად. 2009-დან 2018 წლამდე პერიოდში CDC-მ გადაამზადა საქართველოში მომუშავე 100-ზე მეტი ეპიდემიოლოგი ორწლიანი საველე ეპიდემიოლოგიისა და ლაბორატორიული სასწავლო პროგრამის (FELTP) ფარგლებში. ძELTP-ის კურსდამთავრებულები მონაწილეობდნენ ეპიდაფეთქების გამოვლენაში, მათ შორის COVID-19-ის ეპიდემიის, როგორც საქართველოში ასევე მთელ რეგიონში. 2022 წელს CDC-მ წამოიწყო საველე ეპიდემიოლოგიის 10-თვიანი სასწავლო პროგრამა (FELTP), გამოიყენა რა საქართველოს გამორჩეული რეპუტაცია, რათა მოემზადებინა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტები 5 ქვეყნიდან (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა). 2017 წლიდან CDC-ს მხარდაჭერით NCDC-მ გახსნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო სიტუაციების მართვის რეგიონული ცენტრები და სწავლება ჩაუტარდა ცენტრის პერსონალს, გადამზადდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის 500-მდე პროფესიონალი რომ შეძლონ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია, დაავადებების დადგენა ლაბორატორიული დიაგნოსტიკის საშუალებით და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გადაუდებელი შემთხვევების სწრაფი იდენტიფიკაცია; შექმნა ეფექტური გადაუდებელი ოპერაციების შესაძლებლობა, მათ შორის ხუთ რეგიონში მოამზადა საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო სიტუაციების მართვის სწრაფი რეაგირების ჯგუფების 90 მონაწილე

**– დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამები, სამედიცინო განათლება, პირველადი ჯანდაცვის რეფორმა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარება, ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა... – ეს მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი ჩამონათვალია აშშ-ის მხრიდან მხარდაჭერილი საქართველოს ჯანდაცვის მიმართულებებისა.. ვისაუბროთ ამ მხარდაჭერასა და მის შედეგებზე.**

– საუკუნის მეოთხედზე მეტის განმავლობაში საქართველოში არსებული ჯანმრთელობის საჭიროებებზე საპასუხოდ აშშ-ის ხელისუფლება თანამშრომლობდა მთავრობის ყველა დაინტერესებულ მხარესთან. წლების განმავლობაში აშშ-ის სამთავრობო უწყებები მხარს უჭერდნენ ქვეყნის ძალისხმევას აღნიშნული მიმართულებით, მათ შორისაა:

**გაუმჯობესებული შედეგები დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით:** COVID მუშაობდა ქართველ პარტნიორებთან ერთად მშობიარობის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვისთვის, რომელმაც მშობიარობის შემდგომი სისხლდენა, (მშობიარობასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მთავარი გამომწვევი მიზეზი) შეამცირა საწყისი 10% დან 1%-მდე. საქართველოს მეანგინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციასთან პარტნიორობით , COVID-მა შეიმუშავა დედათა და ბავშვთა ზრუნვის გაიდლაინები, რომელიც იყო სტანდარტიზებული და დაინერგა კლინიკურ პრაქტიკაში მთელი ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, COVID-ის ხელშეწყობით ჯანდაცვის ასობით ქართველი პროფესიონალი გადამზადდა ეფექტური პერინატალური ზრუნვის (EPC) საკითხებში. 2014 წლისთვის საქართველოში არსებული სამეანო პერსონალის ნახევარზე მეტი გადამზადდა და სამშობიარო განყოფილებებისა და დაწესებულებების ნახევარზე მეტი აღიჭურვა USAID-ს მიერ, რათა უზრუნველყოფილიყო EPC და ოჯახზე ორიენტირებული ზრუნვა, რაც საქართველოში წლიური მშობიარობის დაახლოებით 80%–ს ფარავდა. აშშ-ის მთავრობამ ასევე მხარი დაუჭირა საქართველოში ხუთ წლამდე ასაკის ყველა ბავშვისთვის რუტინულ იმუნიზაციას.

**თანამედროვე სამედიცინო განათლება:** COVID თანამშრომლობს წამყვან სამედიცინო სასწავლო დაწესებულებებთან - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ), დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი (აიეტი), შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ბათუმის სამედიცინო სკოლა, ქუთაისის სამედიცინო უნივერსიტეტი და თბილისის პეტრე შოთაძის სახელობის სამედიცინო აკადემია, სასწავლო გეგმისა და სასწავლო მეთოდოლოგიის განახლების მიმართულებით. ამ პარტნიორობის შედეგად საქართველოში პირველად განხორციელდა და დაინერგა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), რომელიც საერთაშორისოდ აღიარებული სამედიცინო ფაკულტეტების სტუდენტების კლინიკური უნარების შეფასების ყველაზე ეფექტური მეთოდია, 2014 წელს კი ჩაატარა პირველი OSCE გამოცდა თსსუ-ს 500-ზე მეტი სტუდენტისთვის. USAID-მა შექმნა საჯარო კერძო პარტნიორობა ემორის უნივერსიტეტს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და შპს „Foresight Investment Group“-ს შორის, რომლის ფარგლებში 2020 წელს თბილისში „კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა“ გახსნა და ამჟამად ძირითადი კლინიკური სასწავლო ბაზაა რეაბილიტაციისა და ფიზიოთერაპიის სტუდენტებისთვის.

**ჯანდაცვის მართვის გაძლიერება:** COVID-მა შეიმუშავა და დანერგა ჯანდაცვის მართვის ეროვნული საინფორმაციო სისტემა, რომელიც მოიცავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყველა ბიზნესპროცესს და წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ადმინისტრირების ძირითად ინსტრუმენტს. უფრო ეფექტურმა პროცესებმა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ჯანდაცვის შედეგები გააუმჯობესა.

**ტუბერკულოზის (TB) მართვის გაუმჯობესებული შესაძლებლობები:** COVID-ს მიერ მხარდაჭერილი პროგრამების ფარგლებში გაძლიერდა ტუბერკულოზის შემთხვევების დიაგნოსტიკა და გაუმჯობესდა მკურნალობის ხარისხი, გარდა ამისა, ათასობით ექიმი და მედდა გადამზადდა. COVID-ის მხარდაჭერამ ხელი შეუწყო ტუბერკულოზის კონტროლის კანონის მიღებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტუბერკულოზთან დაკავშირებული სერვისების ხელმისაწვდომობა და ხარისხი. ამასთანავე, COVID-მა დანერგა ტუბერკულოზის მართვის ელექტრონული ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა ტუბერკულოზის მონაცემების რეალურ დროში თვალყურის დევნებას და ხელს უწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას. COVID ასევე დაეხმარა ტუბერკულოზის მართვის უახლესი გაიდლაინების დანერგვას და მხარი დაუჭირა ტუბერკულოზის ახალი მედიკამენტებისა და თანამედროვე სამკურნალო სქემების განხორციელებას განსაკუთრებულად საშიში წამლისადმი რეზისტენტული ფორმების მკურნალობის მიზნით.

(დასასრული მორიგ ნომერში)

## როდის ითვლება სესხი ხანდაზმულად, რა უნდა გავითვალისწინოთ საკრედიტო ბიუროებთან ურთიერთობის დროს?

**ხანდაზმული სესხებისა და საკრედიტო ბიუროებთან ურთიერთობების შესახებ იურისტი და სამოქალაქო უფლებების სპეციალისტი გვანცა ჟორჟოლიანი გვესაუბრება.**



**„ნებისმიერი სასესხო ხელშეკრულება, რომლის დადებიდან და არ შესრულებიდან არის გასული 3 წელიწადი, მოქალაქე თავისუფლდება სესხის გადახდის ვალდებულებისგან.**

**მაგალითად, სიტყვაზე 2020 წლის 1 ივლისს სესხი ჰქონდა გადასახდელი და 2 ივლისს არ გადაიხადა, 3 ივლისიდან ბანკს ან ნებისმიერ ფინანსურ ორგანიზაციას, უფლება აქვს მოითხოვოს გადახდა. სწორედ აქედან აითვლება ხანდაზმულობის ვადა 3 წელიწადი. სესხი აქტიური იქნება 2023 წლის 3 ივლისამდე და ამ პერიოდში კრედიტორს აქვს უფლება მოითხოვოს სესხის დაბრუნება, მაგრამ 3 ივლისიდან უკვე სესხი ხანდაზმულია და მსესხებელი გათავისუფლებულია მისი გადახდისგან“,** – განაცხადა იურისტმა.

მისი თქმით, იმისთვის, რომ სესხი ხანდაზმულად იქნეს ცნობილი, აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება.

**„ხანდაზმულობის ვადა დასტურდება და ძალაში შედის მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, მანამდე თუ ფინანსური ბიურო ან ვალის ამომღები ორგანიზაცია ითხოვს გადახდას, სესხი ნებისმიერ დროს შეიძლება გაცოცხლდეს, თუ სესხის ამღები დათანხმდება მათ, თუნდაც სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ან ავანსის შეტანით ან ნებისმიერი გარანტიის მიცემით.**

**ამიტომ მინდა გავაფრთხილო მოქალაქეები, რომ თუ მათ სურთ სესხი ხანდაზმული იყოს, არ დათანხმდნენ თუნდაც ავანსის სახით 10 ან 20 ლარის შეტანას, რადგან ამ შემთხვევაში სესხი გაცოცხლდება და მსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს მისთვის სასურველი პირობებით თანხის დაფარვა. მოქალაქემ უნდა უთხრას ფინანსურ ბიუროს რომ მისი სესხი არის ხანდაზმული და ორგანიზაციამ მიმართოს სასამართლოს“,** – აღნიშნა **გვანცა ჟორჟოლიანმა.**

როგორც მან განმარტა, მოქალაქეს უფლება აქვს თავადაც მიმართოს ეროვნულ ბანკს განცხადებით, და ეროვნული ბანკი შესაბამის სანქციას დაუწესებს ფინანსურ ორგანიზაციას.

**იურისტმა ასევე განმარტა, რომ ვადაგადაცილებულ სესხზე ბანკსა თუ სხვა ფინანსურ დაწესებულებას, პირგასამტეხლო და ჯარიმა შეუძლიათ დააკისრონ მსესხებელს მხოლოდ მაქსიმუმ 180 დღის ვადაზე. ასევე თუ მოქალაქეს სესხის ამომღები ორგანიზაციებიდან უკავშირდებიან და სთხოვენ ინფორმაციის გაცემას გარკვეულ პირზე, მას უფლება აქვს დაუკავშირდეს ეროვნულ ბანკს, მიაწოდოს ინფორმაცია ზარის შესახებ და ეროვნული ბანკი მიიღებს შესაბამის ზომებს.**

ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს ასევე უფლება აქვს მიმართოს პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურს, რათა მათ მოახდინონ მის პერსონალურ მონაცემებზე წვდომის შეზღუდვა.

**ამავდროულად, თუ ადგილი აქვს მუქარას, უხეშ საუბარსა და შეურაცხყოფას, ყველა ზარი იწერება და მოქალაქეს შეუძლია მიმართოს სამართალდამცველებს.**

**იურისტმა ასევე ისაუბრა საკრედიტო ისტორიაზე ხანდაზმული სესხის გავლენაზე და აღნიშნა, რომ სესხი ხანდაზმულად ცხადდება მხოლოდ სასამართლოს მიერ და ასეთი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, მოქალაქემ უნდა მიმართოს კრედიტინფოს და მოითხოვოს მისგან ისტორიის ცვლილება. ხანდაზმული სესხის სტატუსი მქონე ვალდებულება საკრედიტო ისტორიაში რჩება 5 წლის ვადით.**

**„კომერსანტი“**



## ღაზის სექტორი – კოშმარული სასაკლაო

**როგორც „ჰამასის“ დაქვემდებარებაში მყოფი ღაზის ჯანდაცვის სამინისტრო იტყობინება, ღაზის სექტორში დაღუპულთა რაოდენობა 24 100-მდე გაიზარდა, დაშავებულთა რიცხვი კი 60 800-ს აღემატება**

უწყების ცნობით, ბოლო 24 საათის განმავლობაში ავიაიერიშების შედეგად, 132 პალესტინელი დაიღუპა, 252 კი დაშავდა. უწყებაში აცხადებენ, რომ მსხვერპლის სტატისტიკა საბოლოო არაა, რადგანაც ნანგრევებში მოყოლილთა რაოდენობა ჯერ ისევ უცნობია. შეიარაღებული დაპირისპირება ისრაელსა და „ჰამასს“ შორის განსაკუთრებით აქტიურია ჰან იუნისში.

## ბენ ჰოჯესი: ვინც გააკონტროლებს ყირიმს, ის მოიგებს ომს



**ყირიმი რუსეთის მიერ ჯერ კიდევ ოკუპირებული ტერიტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. სწორედ ამას ვუწოდებთ „გადამწყვეტ ტერიტორიას“ და ვინც გააკონტროლებს ყირიმს, ის მოიგებს ამ ომს,** – ამის შესახებ ევროპაში აშშ-ის ძალების ყოფილმა მეთაურმა, ბენ ჰოჯესმა განაცხადა.

ამერიკელი გადადგარი გენერლის თქმით, უახლოეს მომავალში ნახევარკუნძულზე შეტევა, სავარაუდოდ, არ მოხდება, მაგრამ მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ყირიმი გამოუსადეგარი გახდეს რუსული ჯარებისთვის.

ბენ ჰოჯესის განცხადებით, **„ამისთვის უკრაინას სჭირდება მაღალი სიზუსტის შორი მოქმედების იარაღი, რომელიც ნებისმიერ ადგილას შეიძლება, მოხვდეს – ყოველ რუსულ ხომალდს, ყოველ რუსულ თვითმფრინავს, ყოველ შტაბბინას, რაკეტის გაშვების ყველა ადგილს, საჰაერო ძალების ყველა ბაზას. შესაბამისად, ეს ყირიმს რუსეთისთვის გამოსაყენებლად უვარგისს გახდის. ნახევარკუნძულის დეოკუპაციის მეორე კომპონენტია იზოლაცია – ეს არის ორი მარშრუტის დახურვა, რომლითაც შეიძლება იქ მისვლა. პირველი არის უკანონოდ აღმართული ქერჩის ხიდი; მეორე არის ე.წ. სახმელეთო დერეფანი, რომელიც გადის როსტოვიდან აზოვის სანაპიროზე მარიუპოლისა და ბერდიანსკის გავლით ყირიმამდე. ვფიქრობ, შესაძლებელია ამ ორივე გზის გადაჭრა ზუსტი ცეცხლით შორი მანძილიდან“**, – განაცხადა ბენ ჰოჯესმა.



## ირანელებმა ერაყში აშშ-ის საკონსულოსთან ტერაქტი მოაწყვეს

**ერაყის ქალაქ ერბილში, აშშ-ის საკონსულოსთან რამდენიმე აფეთქება მოხდა. დაღუპულია, სულ მცირე, ოთხი ადამიანი, ხოლო ექვსი დაშავდა.**

თავდასხმებზე პასუხისმგებლობა ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსმა აიღო. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, დაშავებულთა ნაწილი კრიტიკულ მდგომარეობაშია. ერაყის მთავრობამ საგანგებო შეხვედრა გამართა, რომელიც ირანის მიერ ერაყის ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევასა და ორ ქვეყანას შორის უსაფრთხოების შეთანხმების შეუსრულებლობის საკითხს შეეხო.

## მინისტრის გაფრთხილება



**ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოს ადაშაულებს და იემენის წინააღმდეგ თავდასხმებისა და ღაზის სექტორში საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას ურჩევს.**

ისლამური რესპუბლიკის საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, სამხედრო აქტები კრიზისის მოგვარებას ვერ შეძლებს. როგორც ირანის მთავარი დიპლომატი ირწმუნება, ჰუსიტების მაღალჩინოსნებმა ირანს განუცხადეს, რომ წითელ ზღვაში თავდასხმებს იქამდე გააგრძელებენ, ვიდრე ღაზის წინააღმდეგ ომი იქნება.

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, **შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ მიერ თერჯოლის მუნიციპალიტეტში 110 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანისა და ექსპლუატაციის** პროექტის გზშ-ის ანგარიშზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, **2024 წლის 23 იანვარს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახშირღელეს ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში, მიმდინარე წლის 23 იანვარს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეულის შენობასა და მიმდინარე წლის 24 იანვარს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში** გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით დაგეგმილი საჯარო განხილვები გაუქმდა.

დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე - https://ei.gov.ge/ka/info/42f8f42e-0f73-49ee-9f06-1a3734a9f838

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

### გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა - საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა -გველეთის (ლოტი 1) მონაკვეთის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტი

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** საავტომობილო გზის მშენებლობა და რეკონსტრუქცია

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

**დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2024 წლის 23 თებერვალი, 14:00 საათი, დაბა სტეფანწმინდის კულტურის სახლის შენობა (მის: ყაზბეგის ქ. №24).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 14 მარტის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 32გ).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 12-ე მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა **2024 წლის 9 იანვარს.** აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

### სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „აშენდი აგრო საქართველოს“ მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ასურეთში მეღორეობის ფერმის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** მეღორეობის ფერმის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „აშენდი აგრო საქართველო“

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 31 იანვარი, 15:00 საათი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. მარაბდის საჯარო სკოლის შენობა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 7 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 2023 წლის **20 ნოემბერს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

# ევროპის დედაქალაქში წარმოჩენილი ქართული კულტურა



# „ევროპალიას“ შემდეგ, ჩვენ ახლა უკვე პოლონეთში ვაჩვენებთ ევროპას, რომ გვაქვს ძალიან დიდი ქრისტიანული კულტურა!

**ჩვენ შევძელით ის, რაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ევროპის დედაქალაქში გვეჩვენებინა საქართველო და მისი კულტურა ზუსტად ისე, როგორც ჩვენ, ქართველები აღვიქვამთ მას,** – ამის შესახებ კულტურის მინისტრმა, **თეა წულუკიანმა** განაცხადა.

**„საქართველოს მთავრობამ და კულტურის სამინისტრომ ღირსეულად გაართვეს თავი ამ ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებას, რამაც შესანიშნავი და უნიკალური ფონი შექმნა ქვეყნისა, რომელმაც მიაღწია წარმატებას და მიიღო წინა წლის დეკემბერში ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსი. ეს იყო შესანიშნავი აკომპანემენტი ჩვენი ქვეყნისთვის, მთელი პანოპლია კულტურული ღონისძიებებისა, რომელმაც აქაურ ევროპელ მსმენელს, მაყურებელს, დამთვალიერებელს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ საქართველო არის ევროპული ქვეყანა და ქართული კულტურა ერთი მხრივ არის თვითმყოფადი და თავისი ფესვებით ნამდვილად ევროპული კულტურის ქვეყანა. ყველას მინდა ვუთხრა მადლობა და მივულოცო წარმატებით ჩატარებული რამდენიმეთვიანი უმნიშვნელოვანესი ფესტივალი და ერთი-მეორეზე წარმატებული ღონისძიებები.**

**თუ უფრო სუბიექტურები ვიქნებით, ვიტყვით, რომ 99 პროცენტი, რომელთა ინიციატორიც იყო საქართველოს მთავრობა და კულტურის სამინისტრო, ყველა ჩატარდა ანშლაგით. ჩვენ შევძელით ის, რაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ევროპის დედაქალაქში გვეჩვენებინა საქართველო და მისი კულტურა ზუსტად ისე, როგორც ჩვენ, ქართველები აღვიქვამთ მას, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია ჩვენი თავი ევროპაში და არ წარმოვჩენილიყავით ისე, როგორც ჩვენ წარმოვუდგენივართ სხვას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩვენ სცენაზე გვყოლოდნენ ჩვენი ჩოხიანი ღირსეული კაცები, გვყოლოდა მოცეკვავეთა მთელი კოჰორტა, რომელმაც ღირსეულად წარმოადგინა საქართველო. გვყოლოდა ჩვენი ვახტანგ კახიძე, რომელმაც აჩვენა, რომ საქართველო არა მხოლოდ ფოლკლორის, არამედ მაღალი დონის მუსიკის ქვეყანაა. გვყოლოდა აშუღი ნარგილე, რომელიც ერთადერთი ქალია ამ დარგში და მას ეჩვენებინა, რომ ჩვენ ვართ მრავალეროვანი, მრავალეთნიკური კონფესიებით და მათ შორის ჰარმონიული თანაცხოვრების ქვეყანა“,** – აღნიშნა წულუკიანმა.

**ჩვენ ახლა უკვე პოლონეთში ვაჩვენებთ ევროპას, რომ გვაქვს ძალიან დიდი ქრისტიანული კულტურა, თვითმყოფადი და ევროპული,** – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, **თეა წულუკიანმა** ფესტივალ „ევროპალია-საქართველოზე“ განაცხადა.

კულტურის მინისტრმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მისი თქმით, საქართველო კრაკოვის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. ასევე, ქართული კულტურის ფესტივალი წელს ტოკიოსა და ლევილში გაიმართება.

**„გავხსნით მასშტაბურ გამოფენას, სადაც საქართველო 800-ზე მეტი ექსპონატით იქნება წარმოდგენილი და ჩვენ ახლა უკვე პოლონეთში ვაჩვენებთ ევროპას, რომ ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი ქრისტიანული კულტურა, თვითმყოფადი და ევროპული. ეს იქნება გარკვეულწილად გაგრძელება ფესტივალისა „ევროპალია“, რომელიც ბენელუქსის ქვეყნებში და აქ, ბრიუსელში, ევროკავშირის დედაქალაქში მიმდინარეობდა რამდენიმე თვის განმავლობაში. რა თქმა უნდა, კრაკოვში მასშტაბური გამოფენა იქნება კულტურული ღონისძიებების ფონზე. ჩვენ ვაჩვენებთ ჩვენს ქართულ თეატრს, ფოლკლორს და ყველა იმ პროექტს წარვადგენთ, რომლითაც „ევროპალიის“ ფარგლებშიც ღირსეულად წარმოვჩნდით.**

**ამასთან, 2024 წელს, ივნისის თვეში, ტოკიოში გაიმართება ქართული კულტურის ფესტივალი, რომელიც ასევე მრავალფეროვანი იქნება. მიმდინარე წელს ასევე გავიმეორებთ „ლევილის ქართულ ფესტივალს“, მაგრამ 2-ჯერ მეტი მასშტაბით, უფრო მეტი ხელოვანების მონაწილეობით და მრავალფეროვანი რეპერტუარით“,** – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

# ამ თარგმანების მნიშვნელობა წარუვალია

**გამოიცა გამოჩენილი ფილოსოფოსის, ქრისტიანული ფილოსოფიის წარმომადგენლის, ევგენი ტრუბეცკოის (1863-1920) მთავარი ნაშრომი – „სიცოცხლის აზრი“.**

წიგნი რუსულიდან თარგმნა ვიქტორ რცხილაძემ. მანვე ვრცელი შესავალი დაურთო წიგნს, სადაც, თემასთან დაკავშირებით, რამდენიმე მოსაზრება განიხილა.

აღნიშვნის ღირსია ვიქტორ რცხილაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მან არა მხოლოდ ქართული ფილოსოფიური ლიტერატურა გაამდიდრა კლასიკოსთა თარგმანებით, არამედ ზოგადად ქართულ კულტურასაც შესძინა ისეთი ნაწარმოებების თარგმანები, რომელთა მსოფლიო მნიშვნელობა წარუვალია და დიდ მოწიწებას იმსახურებს. ვიქტორ რცხილაძის ყველა ამ თარგმანს დართული აქვს მისი წინასიტყვაობები, კომენტარები და ბოლოსიტყვაობები.

გერმანულიდან თარგმნილია: **გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი**: „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“; **არტურ შოპენჰაუერი**: „სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა“; **სიორენ კირკეგორი**: „შიშის ცნება“.

XX საუკუნის ფილოსოფოსები (ასევე გერმანული ენიდან): **რუდოლფ ოტო**: „წმიდა“; **ავგუსტ ბრუნერი**: „ფილოსოფიის ძირითადი საკითხები“; **იოანეს ჰესენი**: „პლატონიზმი და პროფეტიზმი“; **რომანო გუარდინი**: „რელიგია და გამოცხადება“, „სასწაული და ნიშანი“; **ჰანს ზედლმაირი**: „თანამედროვე ხელოვნების რევოლუცია“; **ვოლფჰარტ პანენბერგი:** „ცოდვა და პირველცოდვა“, „ათეიზმის ტიპები და მათი თეოლოგიური მნიშვნელობა“; „ღვთის არყოფნის გამოცდილება თანამედროვე თეოლოგიაში“; **მიხაელ შულცი**: „კარლ რანერი და ვოლფჰარტ პანენბერგი“; **გუდნოლფ გიერათი**: „გერმანელი მისტიკოსები“; **კარლ შმიტი**: „პოლიტიკური თეოლოგია“, „თანამედროვე პარლამენტარიზმის სულიერ-ისტორიული მდგომარეობა“; **მარტინ ჰაიდეგერი**: „რა არის ეს - ფილოსოფია?“ (უნივერსიტეტის „მიმომხილველში“, 1969 წ.).

მნიშვნელოვანია ვიქტორ რცხილაძის მიერ შედგენილი და თარგმნილი კრებული „დასკვნები ქართული პოლიტიკისთვის“, რომელშიც შესულია შემდეგი ნაშრომები: **ფრანც ფონ ბაადერი**: „საფრანგეთის რევოლუციის მიერ გამოწვეული მოთხოვნილება, რათა დამყარდეს რელიგიის პოლიტიკასთან ახალი და უფრო შინაგანი კავშირი“, **კარლ რანერი**: „თეოლოგიური ასპექტი ეშმაკეული შეპყრობილობის შეფასებისთვის“, **ვოლფჰარტ პანენბერგი:** „ბოროტებისა და განსაცდელის დაძლევა თავად ღვთის მიერ“, **ჰაინრიხ შოლცი:** „ომი და ქრისტიანობა“; **კონრად პაულ ლისმანი**: „სიორენ კირკეგორი“.

ვიქტორ რცხილაძემ ასევე შეადგინა და თარგმნა კრებული: „XX საუკუნის დიდი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების აზრები უკვდავებაზე“.

რუსულიდან თარგმნილია: **ალექსეი ლოსევი**: „მითის დიალექტიკა“, „მხატვრული ფორმის დიალექტიკა“, „მხატვრული მსოფლშეგრძნების აგებულება“, „ესთეტიკური მოძღვრების ისტორია“; **ნიკოლაი ლოსკი**: „სამყარო როგორც ორგანული მთლიანობა“, „ნების თავისუფლება“, „თანამედროვე ევროპელის და პირველყოფილი ადამიანის ინტელექტი“.

ფილოსოფიური აზრისა და ჩვენი კულტურისთვის არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ვიქტორ რცხილაძის ორიგინალურ ნაშრომებს, რომელთაგან გამოვყოფდით ექვსასგვერდიან წიგნს - „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“; „XX საუკუნის გერმანელი მოაზროვნეები ღვთის არსებობის შესახებ“; ასევე, ვიქტორ რცხილაძის მრავალრიცხოვან წერილებსა და თარგმანებს მის მიერვე დაარსებულ ჟურნალში „რელიგია“, რომელმაც არსებობა შეწყვიტა მ. სააკაშვილის სამარცხვინო რეჟიმის დამყარებისთანავე. ასევე ყურადღებას იპყრობს ვ. რცხილაძის მიერ 2020-2021 წლებში გამოცემული „ფილოსოფიურ-პოლიტიკური კრებული“.




**ახლა დავუბრუნდეთ ისევ ე. ტრუბეცკოის „სიცოცხლის აზრს“. მთარგმნელს თავის წინასიტყვაობაში მოჰყავს ნაწყვეტი ტრუბეცკოის სულ სხვა ნაწარმოებიდან, რომელიც პასუხობს ჩვენში ე. წ. „ნაცმოძრაობის“ მიერ გაღვივებულსა და დანერგილ რუსოფობიურ განწყობილებას. ვიქტორ რცხილაძე წერს:**

**„ჩვენში გამეფებული ანტირუსული ისტერიის გამო საჭიროა ჩვენი ავტორის მაგალითზე იმის ჩვენება, რომ ყველა რუსი არაა შოვინისტი და იმპერიალისტი, და რომ ფაქტობრივად არსებობს მეორე რუსეთი, ქრისტიანული და სამართლიანი. ეკამათებოდა რა მურეტოვს ერი-სამშობლოსა და ღვთის ურთიერთდამოკიდებულებაზე, ევგენი ტრუბეცკოი წერდა: „დოსტოევსკის მოძღვრების არსი იმაზე დაიყვანება, რომ როგორც ხალხის, ასევე პიროვნების ზემოთ არსებობს უმაღლესი, სამყაროსეული ჭეშმარიტება, რის წინაშეც მორიდება გვმართებს. დ. დ. მურეტოვის მოძღვრების არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მორჩილება გვმართებს ხალხის, როგორც ასეთის, წინაშე. დოსტოევსკი, პირველ ყოვლისა, გახლდათ ქრისტიანი; ამიტომ მის მსოფლმხედველობაში „ნაციონალურ ეროსს“ ჰქონდა მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნელობა; პირიქით, ბ-ნი მურეტოვი ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ ნაციონალურ ეროსს აქვს თავისთავადი, თვითკმარი ღირებულება. განსხვავება დ.დ.მურეტოვის თვალსაზრისსა და დოსტოევსკის და სლავიანოფილების რელიგიურ თვალსაზრისს შორის მდგომარეობს, სხვათა შორის, კიდევ იმაში, რომ იგი შესაძლებლად თვლის თავისი ნაციონალიზმის დასაბუთებას ყოველგვარი მეტაფიზიკური საწყისების გარეშე. ეს ნაციონალიზმი, რომელიც აღმერთებს ეროვნებას, კრძალავს, თავის კერპს მიმართონ რაიმე ზნეობრივი მოთხოვნებით: ბ-ნი მურეტოვის აზრით, შეიძლება ითქვას: „ჩვენ გვმართებს“, მაგრამ იკრძალება თქმა: „ხალხს მართებს“. სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს, რომ უმაღლესი ნორმა მხოლოდ პიროვნების ზემოთ არსებობს, მაგრამ არა ხალხის. სრულიად აშკარაა, რომ აქ დოსტოევსკის ქრისტიანობა კი არა გვაქვს, არამედ ნამდვილი წარმართობა“...**

ევგენი ტრუბეცკოი განაგრძობს: „ჩვენ გვეუბნებიან - შეიყვარეთ, უპირველეს ყოვლისა, თქვენი ხალხი“. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ჩემს ხალხს აქვს უფრო დიდი, ვიდრე თვითონ არის, მარგალიტი, რომელიც შეადგენს მისი სიცოცხლის უმაღლეს ღირებულებას. როგორ შემიძლია იგი მიყვარდეს უამმარგალიტოდ? ჩემი ხალხი თავისი რელიგიური შემოქმედების უმაღლეს საფეხურებზე იცნობიერებდა თავს, როგორც მშვენებლად და იმავდროულად - ცოცხალ ქვად დიდი და ხელთუქმნელი შენობის, რომელშიც ყველა ხალხისთვის, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი არსებისათვის, გამზადებულია სავანე, არის თავისი ტრაპეზი და გვირგვინი. ნუთუ ამ უდიდესი სახალხო საქმის უარყოფით, სახალხო შემოქმედების ამ მშვენებისა და აზრის – ჩემი ხალხის სიყვარულს დავამტკიცებ? ან, შესაძლოა, მითხრან, რომ უნდა დავუტევო ეს ნათელი რელიგიური იდეა კერძო, საშინაო მოხმარებისთვის, ხოლო საზოგადო ცხოვრებაში ვიხელმძღვანელო სხვა საწყისებით? ასე შეუძლიათ იმსჯელონ ცნობილი აფორიზმის, „Religion ist Privatsache“ („რელიგია კერძო საქმეა“, – გერმ.) – აღმსარებლებმა, რომელიც მიმოქცევაშია გერმანელ სოციალ-დემოკრატთა შორის. მაგრამ, ვაქციოთ რელიგია ყოველის „კერძო საქმედ“ ნიშნავს იმას, რომ იგი უბრალოდ მოვსპოთ, რადგან საშინაო ღმერთი უკვე ღმერთი აღარ არის. ვისაც სწამს ღვთისა, მას სურს მისი განხორციელება მთელს ცხოვრებაში; მაგრამ მაშინ ჩვენი ცხოვრების იდეალია არა გაზნეული ტაძარი, არამედ - კაცობრიობა, ღმერთში თავმოყრილი. წინასწარ ვჭვრეტ გავრცელებულ შეპასუხებას, რომ ასეთი იდეალი უსასრულოდ შორს არის პოლიტიკისაგან და შეუძლებელია, ჰქონდეს მასთან რაიმე გამოყენება. ამაზე ვუპასუხებ - ზედაპოლიტიკური არ არის აპოლიტიკური. რელიგიური იდეალი და ცხოვრების რელიგიური აზრი თუკი არ შეიძლება განხორციელდეს პოლიტიკის საშუალებებით, მაშინ პოლიტიკა მაინც უნდა იყოს მისდამი, ასე თუ ისე, დაქვემდებარებული. თუკი მას არ ძალუძს დედამიწაზე ღვთის სამეფოს შექმნა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანთა ცხოვრებაში მან სატანური სამეფო უნდა განახორციელოს. იგი უკიდურეს შემთხვევაში წინ უნდა აღუდგეს ამ უკანასკნელს“ (Национализм. Полемика 1900-1917. Сборник статей. Москва. 2000 г., стр. 177-178).

ციტატა ევგენი ტრუბეცკოის „სიცოცხლის აზრი“-დან: „რით იმსახურებს კოლექტიური ნაციონალური ეგოიზმი მეტ პატივისცემას, ვიდრე კლასობრივი ეგოიზმი ან რომელიმე სხვა? რუსული ნაციონალიზმი მსხვერპლი გახდა სწორედ ამ ცდუნების (ე. ი., უღვთობის – ვ. რ.), რომელიც ახასიათებს ყოველ ნაციონალიზმს“.

**ვახტანგ ცნობილაძე**

◉ გარღვევა




# გამარჯვება დავიბედეთ!

**მაინც, რა ადვილი ყოფილა ისტორიის დაწერა, თანაც ბედობა დღეს.**

**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ნაკრებზე მოგახსენებთ, რომელმაც გერმანულ მანჰეიმში ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრით ისედაც ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა ბოსნიასთან მოპოვებული პირველი გამარჯვებით აღნიშნა – 22:19.**

თავადაც შესანიშნავი ოსტატის – ტიტე კალანდაძის გაწვრთნილი გუნდის წარმატებას წონას ის ფაქტი მატებს, რომ კატასტროფული სტარტის შემდეგ მისი შეგირდები მეტოქეს სოლიდური სხვაობით ჩამორჩნენ – 2:8, მაგრამ არ გატყდნენ, შესაშური ფსიქოლოგიური სიმტკიცე გამოავლინეს და ვითარება პირველივე ტაიმში გამოასწორეს – 9:9, ხოლო შესვენების შემდეგ მათი შეჩერება ბალკანელთათვის შეუძლებელი აღმოჩნდა.

ბუნებრივია, ქებას თითოეული ჭვაროსანი იმსახურებს, მაგრამ ვფიქრობთ განსაკუთრებით ის ბიჭები უნდა გამოვარჩიოთ, ვისაც კრიტიკულ ვითარებაში ლიდერის თვისებები ამკობდა – ტურნირის ერთ-ერთი ბომბარდირი ცხოვრებაძე (7 გოლი, სულ 21. მანვე 2 პენალტი ვერ გაიტანა), დიხამინჯია, კბილაშვილი, ორჯონიკიძე, არსენაშვილი, ნიქაბაძე და მატჩის გმირი ცინცაძე, რომელმაც ერთ ეპიზოდში ერთბაშად 4(!) ტყორცნა მოიგერია, მათ შორის ორი შვიდმეტრიანი თავისი დამატებებითურთ.

როცა დაუვიწყარ შეხვედრაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გამოვხატოთ მადლიერება ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის მიმართ (ვახტანგ მეიფარიანი, ლევან სალუქვაძე), რომელთა ნაყოფიერი თანამშრომლობითაც სახელმწიფო სტრუქტურებთან და კერძო სექტორთან შესაძლებელი გახდა სასახელო ტრადიციების აღორძინება. გილოცავთ!

# ორიოდე სიტყვით

### ჭადრაკი



**მონაკო.** ევროპის ქალთა ჩემპიონატი. 100-ზე მეტი მონაწილე 25 ქვეყნიდან. საპრიზო ფონდი – 22 000 ევრო. ელვისებური თამაში – 3-3 წუთი ყოველ სვლაზე 2-2 წამის დამატებით. **ბრინჯაო** – ბელა ხოტენაშვილი (10 ქულა 13 პარტიიდან). ასეთივე შედეგით, მაგრამ უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით გამარჯვებული მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (შვეიცარია) გახდა.

### ფარიკაობა



**ტუნისი.** სეზონის პირველი გრან პრი (ხმალი). **ბრინჯაო** – სანდრო ბაზაძე. იორდანიელ, ჩინელ, რუმინელ და ფრანგ მეტოქეთა ძლევის შემდეგ საერთაშორისო რეიტინგის ლიდერი ნახევარფინალში 1 ჩხვლეტით – 14:15 მასპინძელ ფარეს ფერჯანისთან დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ მან შარშანდელი შთამბეჭდავი სერია სწორედ იქვე მსგავსი ტურნირის მოგებით გახსნა. ასე რომ, ჩვენი ოლიმპიური იმედი კვლავაც ოპტიმალურ კონდიციებშია.

### ჭიდაობა

**ზაგრები.** სარეიტინგო ტურნირი. თავისუფალი სტილი. **ოქრო** – აკაკი ქემერტელიძე (70). **ვერცხლი** – გიორგი ელბაქიძე (70), ავთანდილ კენჭაძე (79), ანდრო მარგიშვილი (92). **ბრინჯაო** – ევსევ შველიძე (86), მირიან მაისურაძე (92). ჩვენი გუნდის ლიდერი გენო პეტრიაშვილი (125) ტრავმის გამო პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. ბერძნულ-რომაული სტილი. ოქრო – ლერი აბულაძე. 12-18 თებერვალს ოლიმპიური ლიცენზიებისთვის მებრძოლი ფალავნები ბუქარესტში ევროპის ჩემპიონატზე შეიკრიბებიან.

### ძიუდო



**პარიზის გრანდ-სლემი.** 2-4 თებერვალი. საქართველოს ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა: ჩხვიმიანი, სარდალაშვილი (60), ზირაქაშვილი, ნადირაძე (66), ჩიხელიძე (73), გოჩილაიძე, ახალკაცი (81), ბექაური, ჯაბნიაშვილი (90), ლიპარტელიანი, ჯაფარიძე (100), ინანეიშვილი, დემეტრაშვილი (+100). შეგახსენებთ, რომ შარშან, საფრანგეთის დედაქალაქში ჩემპიონები გახდნენ შავდათუაშვილი (73) და გრიგალაშვილი (81), ხოლო მაისურაძე (90) მესამეზე გავიდა.

◉ ფეხბურთის სამყაროში




# მესის მეოთხედ მოსვლა

**ლონდონში გაიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) დაჯილდოების ცერემონია – The Best. საუკეთესოები გამოვლინდნენ 11 ნომინაციაში. ლაურეატები ირჩეოდნენ 2022 წლის 19 დეკემბრიდან 2023 წლის 20 აგვისტომდე ნაჩვენები შედეგების მიხედვით.**

პირველი ნომინაცია იყო წლის მწვრთნელი მამაკაცებს შორის. გამარჯვება მოიპოვა „მანჩესტერ სიტის" დამრიგებელმა პეპ გვარდიოლამ, რომელმაც აჯობა სიმონე ინძაგის (ინტერი) და ლუჩანო სპალეტის (ნაპოლი/იტალიის ნაკრები).

ამის შემდეგ გამოცხადდა ფიფა-ს ვერსიით წლის სიმბოლური ნაკრები კაცებს შორის:

**მეკარე** – ტიბო კურტუა (რეალი).

**მცველები** – კაილ უოლკერი, ჯონ სტოუნზი, რუბენ დიაში (ყველა – მანჩესტერ სიტი).

**ნახევარმცველები –** ჯუდ ბელინგემი (დორტმუნდი/რეალი), კევინ დე ბრუინი, ბერნარდო სილვა (ორივე – მანჩესტერ სიტი).

**ფორვარდები** – ვინისიუს ჟუნიორი (რეალი), ლიონელ მესი (პსჟ/ინტერ მაიამი), ერლინგ ჰალანდი (მანჩესტერ სიტი), კილიან მბაპე (პსჟ).

* * *

**ქალთა შორის საუკეთესო მწვრთნელი გახდა ინგლისის ნაკრების დამრიგებელი სარინა ვიგმანი. მან ეს პრიზი მეოთხედ მოიპოვა. ვიგმანმა ამ ნომინაციაში უკან ჩამოიტოვა „ჩელსისა" და „ბარსელონას" მწვრთნელები – ემა ჰეიესი და ჯონათან ხირალდესი.**

დადგა ქალთა წლის სიმბოლური ნაკრების ჯერი, რომელშიც ინგლისის ნაკრების შვიდი წევრი მოხვდა:

**მეკარე** – მერი ირპსი (მანჩესტერ იუნაიტედი).

**მცველები** – ოლგა კარმონა (რეალი), ლუსი ბრონზი (ბარსელონა), ალექს გრინვუდი (მანჩესტერ სიტი).

**ნახევარმცველები** – კირა უელში (მანჩესტერ სიტი/ბარსელონა), ალესია რუსო (არსენალი), ლორენ ჯეიმსი (ჩელსი), ელა ტუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), აიტანა ბონმატი (ბარსელონა).

**ფორვარდები** – ალექს მორგანი (სან დიეგო), სემ კერი (ჩელსი).

* * *

**ამის შემდეგ გამოაცხადეს წლის საუკეთესო მეკარეები.**

ქალებს შორის გამარჯვებული გახდა ინგლისელი მერი ირპსი. მისი კონკურენტები იყვნენ ესპანელი კატა კოლი და ავსტრალიელი მაკენზი არნოლდი.

კაცებში წლის საუკეთესო მეკარის პრიზი მოიპოვა „მანჩესტერ სიტის" კარის დარაჯმა ედერსონმა. მან გაუსწრო ტიბო კურტუას (რეალი) და იასინ ბუნუს (ალ-ჰილალი).

* * *

**ფიფას ფეარ პლეის პრიზი მიიღო ბრაზილიის ნაკრებმა, რომელმაც ერთ-ერთ მატჩში სრულიად შავი ფორმა ჩაიცვა ვინისიუსის მიმართ სოლიდარობის ნიშნად, რომელიც რასიზმის მსხვერპლი გახდა ლა ლიგის მატჩში.**

წლის საუკეთესო გოლისთვის განკუთვნილი პუშკაშის პრემია ბრაზილიელ გილერმე მადრუგას ერგო, რომელმაც მაკრატელა გაიტანა ბრაზილიის სერია B-ს მატჩში „ნოვორიზონტინოსა" და „ბოტაფოგოს" შორის.

* * *

**მთავარ ნომინაციაში – წლის საუკეთესო მამაკაცი ფეხბურთელი – გაიმარჯვა ლიონელ მესიმ. არგენტინელმა მოულოდნელად გაუსწრო გასულ სეზონში ტრებლის მომგებს, ჩემპიონთა ლიგისა და ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირს, „ოქროს ბუცის" მფლობელს, ერლინგ ჰალანდსა და კილიან მბაპეს. მესი ამ პრიზის მფლობელი მეოთხედ გახდა.**

როგორც გაირკვა, მესიმ და ჰალანდმა ქულების თანაბარი რაოდენობა მიიღეს და არგენტინელი გამარჯვებული გახდა ეროვნული გუნდების კაპიტნების მხრიდან უფრო მეტი ხმის წყალობით. ბოლო ნომინაციაში გამოვლინდა წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი. ის გახდა ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი აიტანა ბონმატი. მისი კონკურენტები იყვნენ ესპანელი ჯენიფერ ერმოსო და კოლუმბიელი ლინდა კაისედო.

◉ აუზში

# მაინც – ათეულში




**ხორვატეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე წყალბურთში საქართველოს ნაკრებმა მეცხრე ადგილისთვის შეხვედრა საფრანგეთთან 6:12 წააგო და ტურნირზე გამოსვლა მეათე ადგილზე დაასრულა.**

მატჩი ფრანგების უპირატესობით წარიმართა. მათ პირველი ტაიმი 5:2 მოიგეს. მესამე მეოთხედში ქართველებმა უფრო აქტიურად შეუტიეს, თუმცა ანგარიშში ჩამორჩენა ვერ შეამცირეს, მეოთხე მეოთხედი კი სრულად საფრანგეთის ნაკრების სცენარით მიმდინარეობდა – 4:1. 2024 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ჯგუფურ ეტაპზე სამივე შეხვედრა წააგო, შემდეგ მერვედფინალში რუმინეთთან დამარცხდა და 9-12 ადგილებისთვის ბრძოლაში ჩაერთო. ქართველმა წყალბურთელებმა ტურნირზე ერთადერთი მატჩი გერმანიის წინააღმდეგ მოიგეს – 15:10.

სანთელი

# პატრიარქის სამძიმარი ჯუმბერ პატიაშვილს

**ბ-ნ ჯუმბერ პატიაშვილს, მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს!**

**დიდად ვწუხვართ ქ-ნ თინა-თინათინ ჭიჭინაძის გარდაცვალების გამო. შესანიშნავი ადამიანი, ღირსეული მეუღლე, დედა და დიდედა დააკლდა ჩვენს ქალაქს. მასთან ერთი შეხვედრაც კი საკმარისი იყო, რომ გეგრძნო ამ პიროვნების ღირსება და კეთილშობილება.**

**აღვავლენთ ლოცვებს ქ-ნ თინა-თინათინის უკვდავი სულისთვის, რათა მან წიაღი ღვთისა დაიმკვიდროს, ხოლო თქვენ მოგმადლოთ მშვიდობა, ამ განსაცდელის დაძლევის და მისთვის ლოცვის ძალა...**



**სათნო, კეთილგონიერი, ყოველმხრივ დახვეწილი, უმშვენიერესი ქალბატონის, თავისი ხალხისა და ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარული**

## თინათინ ჭიჭინაძის

**გარდაცვალების გამო ვუსამძიმრებთ მის მეუღლეს ჯუმბერ პატიაშვილს, შვილებს, შვილიშვილებს და მთელ საქართველოს, ყველაზე ღირსეული პირველი ლედის გარდაცვალების გამო.**

**ბელა ლოლაძე, ომარ მარგველაშვილი**

---

**დემურ გადელია ოჯახით გულწრფელად თანაუგრძნობს ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს მეუღლის, უძვირფასესი და უკეთილშობილესი ქალბატონის, ღირსეული დედის და ბებიის**

## თინათინ ჭიჭინაძის

**გარდაცვალების გამო.**

---

**გურამ და ბენო ქაშაკაშვილები ღრმა მწუხარებას უცხადებენ ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს და მის შვილებს მარად დაუვიწყარი ქალბატონის**

## თინათინ ჭიჭინაძის

**გარდაცვალების გამო.**

---

**იური ოსიპოვის და ნინო მელაძის ოჯახები მწუხარებით ვიუწყებით ბ-ნი ჯუმბერ პატიაშვილის მეუღლის,**

## თინიკო ჭიჭინაძის

**გარდაცვალებას. ის იყო ერთგული თანამგზავრი და მეგობარი. სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს, ახლობლებს და გულშემატკივართა დიდ არმიას.**

---

**ალეკო ასლანიშვილი და სპარტაკ ქობულია ოჯახებით თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს ჯუმბერ პატიაშვილს უკეთილშობილესი მეუღლის**

## თინათინ ჭიჭინაძის

**გარდაცვალების გამო.**

# კოვიდზე ოცჯერ ძლიერი დაავადება

**დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე განიხილავენ „დაავადება X“-ს, რომელიც, შესაძლოა, 20-ჯერ უფრო მომაკვდინებელი აღმოჩნდეს, ვიდრე COVID-19,** – ინფორმაციას უცხოური მედია ავრცელებს და წერს, რომ „დაავადება X“ უცნობი პათოგენის ჰიპოთეტური სახელია, რომელსაც ეპიდემიის ან პანდემიის გამოწვევა შეუძლია.



**„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ახალი გაფრთხილებები, რომ უცნობმა „დაავადება X“ შეიძლება გამოიწვიოს 20-ჯერ მეტი სიკვდილი, ვიდრე კორონავირუსის პანდემია“,** – ნათქვამია მოხსენებაში.

როგორც მედია წერს, ახალ პანდემიასთან დაკავშირებით შეხვედრა დღეს, 17 იანვარს გაიმართება.

## სალონიკში ქართველი ორსული ქალი მოკლეს

**სალონიკში 41 წლის ქართველი, ორსული ქალი მოკლეს** – ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს და წერს, რომ შემთხვევა 2024 წლის 1 იანვარს მოხდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქალს ერთ-ერთ ბინაში, სასიკვდილო ჭრილობები ცივი იარაღით 39 წლის პარტნიორმა და მისმა 34 წლის მეგობარმა მიაყენეს. მედიის ცნობით, მოკლული ქალი პოლიციამ 8 იანვარს, ტყეში, მანქანის საბარგულში იპოვა. სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილები 13 იანვარს დააკავეს. დაკავებულებს გამოძიება განზრახ მკვლელობაში, ორსულობის იძულებით შეწყვეტაში, ძარცვაში, იარაღის უკანონო ტარება-გამოყენებაში ედავება. ისინი ბრალს არ აღიარებენ.

## საბერძნეთში 7 ქართველი კრიმინალი დააკავეს

**საბერძნეთში მასობრივი ძარცვის ბრალდებით საქართველოს 7 მოქალაქე სპეცოპერაციის დროს აიყვანეს.**

ათენში და მის მიმდებარე ქალაქებში ძარცვის სქემას ე.წ. კანონიერი ქურდი, 41 წლის ირაკლი ხოხიაშვილი, იგივე ირაკლი „ქუთაისკი“ ხელმძღვანელობდა. გამოძიება არ აკონკრეტებს, თუმცა „რუსთავი 2“-მა ექსკლუზიურად გაარკვია საქმის ყველა ფიგურანტის ვინაობა. ე.წ. კანონიერ ქურდთან ერთად დაკავებულები არიან მისი გარემოცვის წევრები. ყველა მათგანი საბერძნეთში რამდენიმე წლის წინ წავიდა და წარსულში სამართლებრივი პრობლემების გამო, უმრავლესობამ პერსონალური მონაცემები შეიცვალა.

დაკავებულთა ახლობლები საქმის დეტალებზე არ საუბრობენ. ამბობენ, რომ საბერძნეთში ჩატა-



რებული სპეცოპერაციის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. საბერძნეთში ავსტრალიის მთავარეპისკოპოსი ერთ-ერთია, ვინც ქართველი მძარცველების სამიზნე გახდა. მაღალი იერარქიის სასულიერო პირთან ერთად მრავალტომიან საქმეში დაზარალებულის სტატუსით ფიგურირებს ბერძენი პროკურორიც, რომლის სახლიდან ფული და ოქროს სამკაულები წაიღეს.

კრიმინალური დაჯგუფების წევრების სახლებიდან ამოღებულია: **2 451 ევრო, 4 მანქანა, ცეცხლსასროლი იარაღები, ნარკოტიკული ნივთიერება, ვაზნები, ალკოჰოლური სასმელები, კამერები, მობილური ტელეფონები, სიმ-ბარათები, ლეპტოპები, ჭურჭლის ნაკრებები და ა.შ.** – წერს მედია.

## შემოჰქონდა ძვირადღირებული კვერცხუჯრედები

**რუსმა ქალბატონმა საქართველოში ორ-ნახევარი მილიონი რუბლის კვერცხუჯრედების შემოტანა სცადა, თუმცა მებაჟეებმა შეაჩერეს. ახლა ქალს შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.**

პეტერბურგის ერთ-ერთ კლინიკაში 36 წლის ქალმა მიიღო შვიდი 0,5 მილილიტრიანი ტუბი კვერცხუჯრედის ნიმუშებით. ის აპირებდა მათ საქართველოში „სილქ მედიქალის“ კლინიკაში უფრო იაფად დაორსულებას: ეკო მეთოდი აქ 46500 (570 ათას რუბლზე მეტი) ღირს. ამ სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებმა დაარწმუნეს რუსი ქალი, რომ კვერცხუჯრედების გადატანა ლეგალური იყო, მაგრამ არ აცნობეს, რომ ამისათვის მას ნებართვა სჭირდებოდა.

ქალის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეიძლება აღიძრას მუხლით „სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონლისა და რესურსების ან კულტურული ფასეულობების ან განსაკუთრებით ღირებული გარეული ცხოველების, წყლის ბიოლოგიური რესურსების, მცენარეებისა და სოკოების კონტრაბანდა“. მას შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა და ერთი მილიონი რუბლის ჯარიმა ემუქრება.

## მეგობარმა მეგობარი დაჭრა

**მეგობრებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება სუფრაზე დაიწყო, ხოლო შემდეგ ქუჩაში, ფიზიკური დაპირისპირებით გაგრძელდა, რა დროსაც, 40 წლამდე კაცმა 24 წლის კაცს ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.**

დაჭრილი გურჯაანის „ჯეო ჰოსპიტალსშია“ მოთავსებული, მისი მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

**„პაციენტი ჩვენთან შემოყვანილ იქნა უკიდურესად მძიმე მდგომარეობით. აღენიშნებოდა ოთხი შემავალი ჭრილობა მუცლის ღრუში. ჭრილობა თავის არეში, მარჯვენა მხარსა და წინა მხარზე და მარცხენა მხრის არეში. ფაქტიურად, ჩვენთან შემოვიდა წნევის გარეშე. პაციენტი შემოყვანისთანავე გადაყვანილ იქნა მართვით სუნთქვაზე და 25 წუთში აყვანილ იქნა საოპერაციო ბლოკში. ამ ეტაპისათვის პაციენტის მდგომარეობას საფრთხე აღარ ემუქრება, გონზეა, ადეკვატურია,** – აცხადებს ექიმი. ბრალდებული დაკავებულია.

## სიკვდილი... ავტობუსში

**გლდანში, მეტრო ახმეტელის მიმდებარედ, №348 ავტობუსში შუა ხნის კაცი გარდაიცვალა.**

შემთხვევა 15 იანვარს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე მოხდა. თვითმხილველების ინფორმაციით, 50-60 წლის კაცი ავტობუსში ცუდად გახდა, რის გამოც სასწრაფო გამოიძახეს. მოქალაქეები და შემდეგ უკვე სასწრაფო სამედიცინო ბრიგადა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ცდილობდნენ მის გადარჩენას, თუმცა კაცი გარდაიცვალა.

## ბაქოში აფეთქებას ერთი ქართველი ემსხვერპლა

**ბაქოში, ავეჯის საწარმოში აფეთქების შედეგად დაღუპულთა შორის ერთი საქართველოს მოქალაქეა,** – ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს.

როგორც უწყებაში აღნიშნეს, საქართველოს საელჩო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში კავშირზეა დაღუპულის ოჯახის წევრებთან. **ბაქოში, ავეჯის საწარმოში აფეთქების შედეგად დაიღუპა შვიდი ადამიანი, დაშავდა სულ მცირე – 24.**



# ქართული სამზარეულოს ტრიუმფი ევროპაში




**მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი გასტრო კონგრესის Madrid Fusion-ის Facebook გვერდი ქართველი შეფმზარეულის დავით ნარიმანაშვილის შესახებ პოსტს აქვეყნებს,** – ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

**„ქართული სამზარეულო თავისი ტრადიციებით მსოფლიოშია სახელგანთქმული. ამ წარმატების მიზეზი კი ქართული გემოს ავთენტურობის შენარჩუნებაა, რაც სამზარეულოში დიდი შრომის შედეგად მიიღწევა. შეფმზარეულმა დავით ნარიმანაშვილმა ქართული სამზარეულო და მისი ტრადიცია საერთაშორისო არეალზე ცნობილი გახადა“. „ეს ძალიან დიდი წარმატებაა, მადრიდი ევროპაში გასტრონომიულად ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეული ქალაქია. სულ რაღაც წელიწად-ნახევარში ქართულმა სამზარეულომ აქ თავი დაიმკვიდრა, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ქართულ გასტრონომიას ძალიან დიდი პოტენციალი აქვს“,** – აცხადებს ნარიმანაშვილი.

დავით ნარიმანაშვილი ქართულ სამზარეულოს 29-31 იანვარს, ესპანეთში, მადრიდში, მსოფლიოში ყველაზე გავლენიან გასტრო კონგრესზე Madrid Fusion 2024 წარადგენს. ღონისძიებაზე საქართველო სტუმრის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას.



# „გაბრაზდით ხომ, ბოსტონი რომ ვთქვი?“

**მადონამ კონცერტზე დამსწრეებს ბოდიში მოუხადა მას შემდეგ, რაც მისალმებისას სხვა ქალაქის სახელი ახსენა.**

„სელებრეიშენ“ ტურნეს ფარგლებში მადონა კონცერტს ტორონტოში მართავდა. პოპის დედოფალმა შოუ ფანებთან მისალმებით დაიწყო, სადაც ქალაქის სახელი შეეშალა.

**„მზად ხარ, ბოსტონო?“,** – თქვა მადონამ. მას შემდეგ, რაც მადონა მიხვდა და გაიაზრა თავისი შეცდომა, ფანებს ბოდიში მოუხადა. **„გაბრაზდით ხომ, ბოსტონი რომ ვთქვი? მაპატიეთ, რა ჯანდაბაა?!“,** – აღნიშნა მან.

# გერმანელი მეხანძრეები... კალენდარზე

**გავარიელმა მეხანძრეებმა ეროტიკული კალენდრისთვის ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა. მოხალისე მეხანძრეები ვალჰზინგიდან ასეთ ღონისძიებაში პირველად იღებენ მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში პროფესიონალური სახანძრო განყოფილებები მხოლოდ მსხვილ ქალაქებში არსებობს. იმ დასახლებულ პუნქტებში კი, სადაც მოსახლეობა 100 ათასზე ნაკლებია, ადამიანების გადარჩენაზე მოხალისეები ზრუნავენ.**




ვალხზინგში 230 მოხალისე მეხანძრეა, ფოტოსესიაში 13-მა მიიღო მონაწილეობა. მეხანძრეები ამბობენ, რომ თავდაპირველად კალენდრის გამოშვების იდეა ერთგვარი ხუმრობა იყო, თუმცა მისი გამოშვების შემდეგ 50 ეგზემპლარი გაიყიდა, მას შემდეგ კი რაც კალენდრის შესახებ სტატიები ადგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდა, მასზე მოთხოვნა გაიზარდა. კალენდრის ღირებულება 30 ევროა. მიღებულ თანხას მეხანძრეები ახალ ეკიპირებაზე და აღჭურვილობაზე დახარჯავენ, ნაწილს კი ბარბექიუს საღამოს მოსაწყობად გამოიყენებენ.




# პრესტიჟული კონკურსების გამარჯვებულები

**ლოს-ანჯელესში Emmy-ის დაჯილდოების 75-ე ცერემონია გაიმართა. წლის საუკეთესო დრამატული სერიალის კატეგორიაში კვლავ „მემკვიდრეობამ“ გაიმარჯვა.** სერიალის სამი მსახიობი – კირან კალკინი, სარა სნუკი და მეთიუ მაკფეიდენი დაჯილდოვდნენ როგორც საუკეთესო კაცი, საუკეთესო ქალი და საუკეთესო მეორე პლანის მსახიობები დრამატულ სერიალში. შოუმ ასევე მიიღო ჯილდო საუკეთესო სცენარისთვის.

**„დათვი“ საუკეთესო კომედიურ სერიალად დასახელდა, შოუში მთავარი როლის შემსრულებელი ჯერემი ალენ ვაითი კი კომედიურ სერიალებში საუკეთესო კაც მსახიობად აღიარეს. ამავე კატეგორიაში საუკეთესო ქალი მსახიობი ასევე „დათვში“ მოთამაშე აიო ედიბირი გახდა. საუკეთესო მინი-სერიალი „მტრობა“ გახდა. შოუში მთავარი როლების შემსრულებლები სტივენ იანი და ალი ვონგი კატეგორიის საუკეთესო მსახიობებად აღიარეს.**

**გამოსამშვიდობებელი ტურისთვის დააჯილდოვეს სერ ელტონ ჯონი, რომელიც მე-19 ადამიანი გახდა, ვისაც „ემის“, „გრემის“, „ოსკარისა“ და „ტონის“ ჯილდოები აქვს.**

* * *



**სანტა-მონიკაში დაჯილდოების ცერემონია Critics Choice Awards გაიმართა, რომელზეც ყველაზე მეტი – 8 ჯილდო „ოპენჰაიმერმა“ მიიღო.**

კრისტოფერ ნოლანის ფილმმა გაიმარჯვა შემდეგ ნომინაციებში: **საუკეთესო ფილმი, საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო მეორე პლანის მსახიობი (რობერტ დაუნი ჯუნიორი), საუკეთესო სამსახიობო ანსამბლი, საუკეთესო მონტაჟი, საუკეთესო ვიზუალური ეფექტები, საუკეთესო საუნდტრეკი, საუკეთესო კინემატოგრაფია.**

**„ბარბიმ“ 6 კატეგორიაში გაიმარჯვა, მათ შორის ნომინაციებში „საუკეთესო კომედია“ და „საუკეთესო სიმღერა“** (I’m Just Ken). **საუკეთესო ქალ მსახიობად ემა სტოუნი („საბრალონი“) დასახელდა, საუკეთესო კაც მსახიობად კი პოლ ჯამატი („მიტოვებულები“). რაც შეეხება ტელენომინაციებს, ყველაზე მეტი ჯილდო მიიღეს სერიალებმა: „დათვი“, „მემკვიდრეობა“ და „მტრობა“.**

# 4 წლის გოგო ევერესტზე ავიდა...

**4 წლის ზარა შიფრა ევერესტის საბაზო ბანაკამდე ავიდა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ის ყველაზე ახალგაზრდა ალპინისტი გახდა, ვინც ბანაკამდე ავიდა. ზარა ჩეხეთისა და კანადის მოქალაქეა, მაგრამ მალაიზიაში ცხოვრობს. საბაზო ბანაკამდე, რომელიც ზღვის დონიდან 5,3 ათასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ის 7 იანვარს, მამასა და 7 წლის ძმასთან ერთად ავიდა. ეს მანძილი ოჯახმა 6 დღეში გაიარა.**



ზარას მშობლები ამბობენ, რომ ბავშვს კარგი ფიზიკური მომზადება აქვს. მალაიზიაში ბავშვი რეგულარულად დადის ლაშქრობებში და ცივ წყალში ბანაობს. მანამდე რეკორდი 5 წლის ინდოელ ბიჭს ეკუთვნოდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 19 იანვარს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6573; ევრო - 2.8917;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3559;
100 რუბლი - 3.0336; თურქული ლირა - 0.0883;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5657;
1000 სომხური დრამი - 6.6727

**ამინდი 17 იანვრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -3, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -7, | დღე +8 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +7 |
| თბილისი: | ღამე | -1, | დღე +12 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge